ქართველობის გადასარჩენად

ილორი

№ 54 (115) 16 თებერვალი 2010 საახალწლო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ერთხელ აფხაზეთზე

2

ლავრენტი ბერია — ქართული გენია

4

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "საუკეთესო საფეხბურთო კლუბები"

"აინტრახტი", ფრანკფურტი, გერმანია.

12

ლირსეული მემკვიდრის მონოლოგები



3

არჩევანი მე, სიყალბე და უბედურება, შენ...

8



9

ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

საქართველო-ინგლისის ურთიერთობა 1918-1919 წლებში

7

თემურ ქორიძე

კიდევ ერთხელ აფხაზეთზე

(ვაგრძელებთ წერილების ციკლის ბეჭდვას)

რა თქმა უნდა, ლეონტი მროველი სვანებსაც ეგროსის შთამომავლებად მოიაზრებდა.

შევეცდები გაგიზიაროთ ჩემი შეხედულება ამ საერისთავოების რაობაზე, მათი მკვიდრების ვინაობაზე, მათ როლზე საქართველოს ისტორიაში.

– მარგვეთი – მარგვეთის საერისთავო ჩამოყალიბდა ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში (I-II საუკუნეები), დღევანდელი ზემო იმერეთის და რაჭის ტერიტორიაზე.

ტერმინ **"მარგვეთს"** უკავშირებენ ცნება **"მარგალს"** (მეგრელს).ამ ტერიტორიაზეც იცხოვრებდნენ ეგრისის სამეფოში დასახელებული წვრილ-წვრილი ტომებიდან ზოგიერთები, მაგრამ მარგვეთის საერისთავოს ჩამოყალიბების შემდეგ, მათ მარგველებად მოიხსენიებდნენ, უფრო ზუსტად, მარგველის ქვეშ მოიაზრებოდა მარგვეთში მცხოვრები მეგრელი, სათანადოდ, მათი მშობლიური ენა იყო მეგრული და, როგორც მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები, I-II საუკუნეებიდან ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ.

მარგვეთის ტერიტორიაზე ცნობილია შორაპანისა და სკანდის ციხეები.

სამწუხაროდ, მარგვეთის ისტორია თითქმის უცნობია, მაგრამ, დაახლოებით VII საუკუნიდან, მისი მფლობელები იყვნენ ლაზი დიდებული ბაღვაშები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ეგრისის სამეფოში, ლაზური დინასტიის ზეობის ეპოქაში, მარგვეთი ლაზეთის მმართველი საგვარეულოს წარმომადგენლების მფლობელობაში იყო.

ერთიანი საქართველოს დაშლის (XV საუკ.) მომდევნო ეპოქაში, როდესაც ეგრისის სამეფოს ყოფილი ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოყალიბდა იმერეთის სამეფო, მარგვეთის საერისთავო მის საზღვრებში აღმოჩნდა და ამის შემდეგ მარგვეთი, როგორც საერისთავო, ისტორიაში არ იხსენიება.

ისტორიაში ცნობილია, რომ არაბების მიერ ქართლის დაპყრობისა და იქ ერისმთავრობის გაუქმების შედეგად, ქართლში უმძიმესი პირობები იყო, რამაც განაპირობა ქართლელების მიგრაცია ეგრისის სამეფოში, რომელიც მეტ-ნაკლებადი ინტენსიურობით მიმდინარეობდა VII-XI საუკუნეებში. ბუნებრივია, მათი გარკვეული ნაწილი მარგვეთშიც დამკვიდრდა, როდესაც იმერეთი ქართულენოვანი რეგიონი გახდა, მარგვეთიც, როგორც მისი ერთი ნაწილი, ქართულენოვანი გახდა, სათანადოდ, იქ მცხოვრები მეგრელები, რომლებიც ადრე მარგველებად იწოდებოდნენ, ამის შემდეგ, სრულიად კანონზომიერად, იმერლებად იწოდებიან.

– **ლაზეთი და ჭანეთი** – ისტორიული წყაროებით დადგენილია, რომ, ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში, დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს სამხრეთ ნაწილში მდინარე რიონიდან მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ჩათვლით, დღევანდელი გურიის, აჭარისა და ლაზისტანის ტერიტორიებზე წარმოჩინდნენ ახალი ადმინისტრაციული ერთეულები, საერისთავოების სახით: **"ლაზეთი"** და **"ჭანეთი"**.

მართალია, ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს სინამდვილეში არც **"ლაზეთი"** ჩანდა და არც **"ჭანეთი"**, მაგრამ, ბუნებრივია, ტოპონიმები **"ლაზეთი"** და **"ჭანეთი"**, როგორც ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს რიგითი ტერიტორიების დასახელება, უხსოვარი დროიდან იარსებებდნენ, თუმცა, საქართველოს ისტორიაში არ ჩანდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ადმინისტრაციულ ერთეულებს არ წარმოაჩენდნენ.

ცხადია, ამ ტერიტორიაზე ადრე ცხოვრობდნენ ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, დრილები და სხვები, იმ წვრილ-წვრილი ტომებიდან, ზოგიერთები, რომლებიც მოიხსენიებოდნენ ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს სინამდვილეში.

როგორც ცნობილია, II-III საუკუნეებში ლაზეთის საერისთავო აშკარად დაწინაურდა და ჭანეთი მისი გავლენის ქვეშ მოექცა, რის გამოც შემდგომში **"ლაზეთის"** ქვეშ **"ჭანეთიც"** მოიაზრებოდა.

III-IV საუკუნეებში ეგრისის (კოლხეთის) სამეფოში მოვლენები ისე განვითარდა, რომ მასში შემავალი საერისთავოებიდან ყველაზე მეტად სწორედ ლაზიკის საერისთავო გაძლიერდა, რამაც, ეტყობა, სამეფოს სათავეში ლაზური დინასტიის მოსვლაც განაპირობა და, ამის შემდეგ, თითქმის VIII საუკუნემდე, ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს **"ლაზიკის"**, უფრო ზუსტად, **"ეგრის-ლაზიკის"** სამეფოდ მოიხსენიებდნენ.

– **ლაზეთი და ჭანეთი** – ლაზეთისა და ჭანეთის საერისთავოების წარმოჩენის შემდგომ, ბუნებრივია, გაჩნდნენ ცნებები **"ლაზი"** და **"ჭანი"**.

ადრინდელ ეპოქაში ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ წვრილ-წვრილ კოლხურ (მეგრულ) ტერიტორიულ ჯგუფებს, ესენი იქნებოდნენ ხალიბები, მოსინიკები, დრილები, თუ სხვები, I-II საუკუნეებიდან, ფაქტობრივად, ეწოდათ ლაზები და ჭანები, უფრო ზუსტად ლაზეთში და ჭანეთში მცხოვრებ მეგრელებს დაერქვათ **"ლაზები"** და **"ჭანები"**.

სწორედ ამ ეპოქიდან გაჩნდა უცხოელი სწავლულების ცნობები ლაზებზე და ჭანებზე, მათ საცხოვრისზე, ყოფაზე, სარწმუნოებაზე და ა.შ.

რადგანაც შემდგომში ჭანეთი ლაზიკის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა, **"ლაზის"** ქვეშ **"ჭანიც"** მოიაზრებოდა.

რომაელი მწერალი პლინიუს უფროსი (I საუკ.) ლაზებს მდინარე ჭოროხის აუზში მცხოვრებ ტომებს შორის მოიხსენიებს, ბერძენი ავტორი მეძნონ ჰერაკლიდელი (II საუკ.) მათ ეგრისის ჩრდილოეთში ასახელებს, ფლაბიუს არიანე (II საუკ.) – ეგრისის შუაგულში, ხოლო პროკოპი კესარიელი (VI საუკ.) – მდინარე ფაზისის (დღევანდელი რიონი) მიდამოებში.

ამდენად, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, ლაზ-ჭანები, ფაქტობრივად, ეგრისის სამეფოს თითქმის ყველა კუთხეში ჩანან, რაც არცაა გასაკვირი, ვინაიდან იმ ეპოქაში, როდესაც ლაზეთი და ჭანეთი ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს რიგითი საერისთავოები იყვნენ, ლაზ-ჭანები მის ყველა კუთხეში ბუნებრივი მიგრაციის შედეგად მოხვდებოდნენ, ხოლო, როდესაც ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს სათავეში ლაზური დინასტია აღმოჩნდა, ბუნებრივია, ლაზ-ჭანები უფრო მრავლად მოხვდებოდნენ სამეფოს ნებისმიერ რეგიონში, მით უმეტეს, ლაზები და კოლხები (ეგრები, მეგრელები) იმდენად ერთნი იქნებოდნენ, რომ შესაძლებელია, უცხოელ სწავლულებს ისინი ერთმანეთისაგან ვერც გაერჩიათ.

ცნობილია, რომ რომის იმპერიის დაშლისა და ბიზანტიის იმპერიის წარმოჩენის შემდგომ (V საუკ.), რომლის გავლენის სფეროშიც აღმოჩნდა ლაზიკის სამეფო, ბიზანტიელები ყოფილ ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს **"ლაზიკის სამეფოდ"** მოიხსენიებდნენ, ხოლო ძირითად მოსახლეობას, კოლხებს (მეგრელებს) ლაზებად.

ბერძენი სწავლული სტრაბონი თითქოს ლაზ-ჭანებს არ ასახელებს ეგრისის სამეფოში მცხოვრებ ტომებს შორის, მაგრამ შესაძლებელია, აქ შემდეგ სიტუაციასთან გვქონდეს საქმე – სტრაბონი ეგრისის (კოლხეთის) სამეფოში შეიძლებოდა ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში არც ყოფილიყო, ვინაიდან იგი გარდაიცვალა პირველი საუკუნის 23 წელს, ან შესაძლებელია, მის მიერ ნახსენებ ე.წ. **"სოან-კოლხებში"** ჭანებს მოიაზრებდა, ვინაიდან ბერძნები ჭანებს ხან **"სანებად"** მოიხსენიებდნენ, ხანაც **"ზანებად"**.

მართალია, დღეს მეცნიერთა უმეტესობა **"სოან-კოლხების"** ქვეშ სვანებს მოიაზრებს, მაგრამ ამას საეჭვოდ ხდის ის გარემოება, რომ ამ ეპოქის ეგრისის (კოლხეთი) სამეფოს სინამდვილეში სვანები თითქმის არ ჩანან, მაშინ როდესაც ლაზ-ჭანები უაღრესად აქტიურ როლს თამაშობდნენ სამეფოში, მით უმეტეს, კავკასიონის მთის ძირში, სამეგრელოს ჩრდილო ნაწილში ჭანების განსახლების კვალი დღესაც არსებობს – ქართულ წყაროებში ჭანებს **"წანებადაც"** მოიხსენიებენ და **"წენებადაც"**. ვარაუდობენ, რომ წანარები ჭანების შთამომავლები არიან.

წალენჯიხის რაიონს მეგრულად დღესაც **"წენდიხა"** (ჭანის მიწა) ჰქვია და მდინარე ერისწყალს **"წენწყარი"** (ჭანის წყალი).

სწორედ წალენჯიხის რაიონში გვხვდება უფრო ხშირად გვარები: **"ჭანია", "წულეისქირი"** (ჭანურად -წულეისშვილი), **"პაპასქირი", "ბულეისქირი", "ჭანთურია"** (ჭანის გვარისა, იგივე ჭანტურია) და ა.შ.

ამდენად, შესაძლებელია, სტრაბონის მიერ ნახსენებ ე.წ. **"სოან-კოლხების"** ქვეშ ჭან-ლაზები იგულისხმებოდნენ.

ყოველ შემთხვევაში, ლაზები იგივე მეგრელებია, უფრო სწორად, ლაზებსა და მეგრელებს შორის ისეთივე განსხვავება იქნებოდა, როგორც სამეგრელოს სხვადასხვა რაიონების მეგრელებს შორის.

ლაზური ენა – ლაზების (მათ შორის ჭანების) მშობლიური ენა იყო და არის მეგრული, უფრო ზუსტად მეგრული ენის ლაზური კილოკავი, ისეთივე, როგორც მეგრული ენის სენაკური თუ სამურზაყანოული კილოკავები.

"ლაზური ენა ახლოა ქართულთან და წარმოადგენს მეგრული ენის კილოს" (**"ენციკლოპედიური ლექსიკონი"** თურქ. ფარს თუღლაჯი)..

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ წვრილ-წვრილი ტომებიდან, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში დასახელებული არიან ეგრისის (კოლხეთის) სამეფოში, ზოგიერთები უეჭველად იცხოვრებდნენ იმ ტერიტორიაზე, სადაც წარმოჩინდა ლაზიკა და შემდგომში იწოდებოდნენ ლაზებად, მაგრამ როგორც კოლხური (მეგრული) ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები, ადრე ისინიც მეგრულად იმეტყველებდნენ.

"– რომ მეგრული აქ იმთავითვე სუფევდა, რომ ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, დრილები და სხვები, სწორედ ლაზურ-ჭანურად ლაპარაკობდნენ და ყველანი ისინი ქართულ ეროვნებას ეკუთვნოდნენ" (**"ქართველების სამი შტო"**, ივანე ჯავახიშვილი, ჟურნ. **"მნათობი"**, 1948 წელი), ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეგრისის (კოლხეთის) ტერიტორიაზე დასახლებული წვრილ-წვრილი ტომები მეგრული ტერიტორიული ჯგუფები იყვნენ და მათი ენა იყო მეგრულის ესა თუ ის კილოკავი.

ყოველ შემთხვევაში, ერთიც და მეორეც სრული ჭეშმარიტებაა, რაც მით უფრო ღირებულია, რომ ამას თვით თურქი მეცნიერები აღიარებენ.

მართალია, ძველი წელთაღრიცხვის ეპოქის ბერძენი სწავლულები მიიჩნევდნენ, რომ კოლხებს (ეგრებს, მეგრელებს) დამწერლობა ჰქონდათ, მაგრამ ისტორიული მოვლენები ისე განვითარდა, რომ მეგრული ენა დამწერლობის გარეშე დარჩა.

მიუხედავად ამისა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მეგრულ ენას მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია და ალბათ, დღესაც, მსოფლიოში არსებული ენებიდან, ერთ-ერთი უმდიდრესი ლექსიკური ფონდი გააჩნია.

ლაზები თითქმის რვა საუკუნეა მოწყვეტილი მშობლიური ხალხისგან და ჯერ ბერძნულ, მხოლოდ შემდგომ თურქულ გარემოში აღმოჩნდნენ, რამაც, ბუნებრივია, ლაზების მეტყველებაზე ძლიერი გავლენა მოახდინა. სწორედ ამ სიტუაციამ განაპირობა ის განსხვავება, რომელიც დღეს შეიმჩნევა მეგრულ და ლაზურ ენებს შორის, თორემ, იმ ეპოქაში, როდესაც ლაზები და მეგრელები ერთად იყვნენ, დარწმუნებული ვარ, არავითარი განსხვავება არ იქნებოდა მეგრულ ენასა და მის ლაზურ-ჭანურ კილოს შორის.

XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის დედაქალაქ სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის კათედრის გამგის, დიდებული ქართველი მეცნიერის, ბატონ ალექსანდრე ცაგარელის თაოსნობით, მისმა მოწაფეებმა, შემდგომში დიდმა ქართველმა მეცნიერებმა ნიკო მარმა და იოსებ ყიფშიძემ დიდი მუშაობა გასწიეს მეგრულ ენაზე.

ბატონმა იოსებ ყიფშიძემ გამოსცა ნაშრომი, **"მეგრული** (იბერიული) **ენის გრამატიკა"** (სანქტ-პეტერბურგი, 1914 წელი), მეგრული ქრესტომატიით და მეგრულ-რუსული ლექსიკონით, ხოლო ბატონმა ნიკო მარმა **"ჭანური ენის გრამატიკა"** (სანქტ-პეტერბურგი, 1910 წელი).

სამწუხაროდ, საბჭოთა ეპოქაში, ფაქტობრივად, აიკრძალა ამ მიმართულებით მუშაობა. ალბათ, დროა, ქართველმა მეცნიერებმა ამ საკითხზე მუშაობის აუცილებლობა გააცნობიერონ.

ლაზური გვარები – ლაზებს (მათ შორის ჭანებს) როგორც მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლებს გვარები უხსოვარი დროიდან ჰქონდათ.

ლაზურ-ჭანური გვარების მწარმოებელი დაბოლოებებია: **"ში"** (მეგრული კუთვნილებითი სუფიქსი), **"ბერი"** (მეგრულ-ლაზურად შვილი) და **"სქირი"** (მეგრულ-ჭანურად ასევე შვილი).

ლაზური გვარები – ჯაში, ტუღუში, ბაღვაში, მარუში, ტრაპში, ხალვაში, მემიშიში, ვანილიში, აბაში, შარაში, ცარგუში, ხაზირიში, ხანაში, კაში, მორგოში, გოთოში, გურეში, გეგეში და ა.შ. თუთაბერი, კაკუბერი, გოგიბერი, გიგიბერი, კობერი, ბერი, ღოღობერი, ლოსაბერი, გუმბერი, სულაბერი, მაცაბერი, თავბერი და ა.შ.

ჭანური გვარები – წულეისქირი, პაპასქირი, კვეკვესქირი, ბულესქირი, გაბესქირი და ა.შ.

სარწმუნოება – დადგენილია, რომ ეგრისის სამეფოში ქრისტიანობა გავრცელდა I-II საუკუნეებში. ეს განახორციელეს დიდმა ქრისტიანულმა მოღვაწეებმა, ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა.

ისტორიული წყაროები გვამცნობენ, რომ ანდრია პირველწოდებულმა ეგრისის სამეფოში მოღვაწეობა დაიწყო ტრაპიზონიდან, რომელსაც მაშინ მეგრელთა ქალაქად მოიხსენიებდნენ.

აღიარებულია, რომ საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია გახდა IV საუკუნიდან და, რატომღაც, ფიქრობდნენ, თითქოს, ეგრისის სამეფოში, I-II საუკუნეებში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია არ იყო. საბედნიეროდ, ქართველმა მეცნიერებმა უკვე შეაჯერეს პოზიციები და დაასკვნეს, რომ საქართველოში ქრისტიანობის ქრონოლოგია, სწორედ I-II საუკუნეებიდან დაიწყო.

მართლაც, 2004 წელს საქართველოში ქრისტიანობის აღიარების 2000 წლის იუბილე აღინიშნა.

ყოველ შემთხვევაში, ეგრისის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელება (I-II საუკ.) ლაზ-ჭანების, მარგველებისა და აფხაზების წარმოჩენის ეპოქას ემთხვევა.

ანზორ შონია,
აკადემიკოსი

(გაგრძელება იქნება)

ღირსეული მემკვიდრის მონოლოგები

მიხეილ საკაშვილი:

„შევარდნაძე დამფუძნებელია ახალი ქართული სახელმწიფოსი, როგორც ჯორჯ ვაშინგტონი იყო ამერიკისთვის...“

საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც პოლიტიკურ ამნეზიას არ უჩივის, კარგად უნდა ახსოვდეს ახალბედა პოლიტიკოსი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც მისი წინამორბედის ქება-დიდებაში ლამის ქადაგად იყო დავარდნილი. საზოგადოების ამ ნაწილს ისიც კარგად ახსოვს, როგორ გააცნო ხალხს დეპუტატობის კანდიდატი სააკაშვილი მისმა აღმზრდელმა. ხმა მიეცით ამ ახალგაზრდას, ეს თქვენი მომავალი პრეზიდენტიაო... სწორედ, ამიტომ ვერ გადაარწმუნებ საზოგადოების ამ ნაწილს, რომ **„ვარდების რევოლუცია“** ამერიკისა და შევარდნაძე-ჟვანიا-სააკაშვილის ერთობლივი პროექტი არ იყო.

„ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს შევარდნაძე ასრულებს. იგი ისევე არის დამფუძნებელი ახალი ქართული სახელმწიფოსი, როგორც ჯორჯ ვაშინგტონი იყო ამერიკისთვის და ათა თურქი – თურქეთისთვის. პოლიტიკოსთა დღევანდელ თაობას ბედმა გაუღიმა, რომ სახელმწიფოს დაფუძნების პერიოდში მუშაობს. რატომღაც მგონია, რომ შევარდნაძის როლი მეტად პოზიტიურია: იგი პრაქტიკულად არ ერევა პარლამენტის საქმიანობაში. უმნიშვნელოვანესი კანონების მიღების დროს, რჩევის სახითაც კი არ უთქვამს, პირადად ჩემთვის, როგორ უნდა ვიმოქმედო. ერთი მხრივ, საოცარ თავდაჭერილობას იჩენს, მეორე მხრივ, თავად არის გარანტი იმ რეფორმებისა, რომელსაც პარლამენტი ატარებს. სამწუხაროდ, დღეს ჯერ კიდევ პრეზიდენტია იმის ერთადერთი გარანტი, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონები ცხოვრებაში გატარდება. სხვა ინსტიტუტები არ ჩამოყალიბებულა, პრეზიდენტის ინსტიტუტი არის ბოლო არბიტრი, რომლის ავტორიტეტს ყველა აღიარებს“, – ეს სიტყვები, არც მეტი, არც ნაკლები, მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის; დიახ, სააკაშვილს, რომელიც დღეს შევარდნაძეს ისეთივე დუუმორეული ლანძღავს, როგორც თავის დროზე ენის გადატყავებამდე აქებდა.

„დღეს შევარდნაძე უფრო მომრიგებლის როლს თამაშობს და ყველას საზღვარს და თამაშის წესებს უწესებს. ეუბნება – ეს არის თქვენი ჩარჩო და იმუშავეთ, როგორც გინდათ და შეგიძლიათ. ვიცი, რომ მთავრობის წევრებს, რომლებიც მასთან საჩივლელად დადიან, ურჩევს, რომ თვითონ მოაწესრიგონ პრობლემები პარლამენტთან. იმასაც მოუწოდებს, რომ პრესასთან ძალისმიერი მეთოდით ურთიერთობა არ შეიძლება. საკონსტიტუციო სასამართლოს უკან, რომელიც აბსოლუტურად მოუსყიდველი, კომპეტენტური და დამოუკიდებელია, დღესდღეობით შევარდნაძის ფიგურა დგას. გარანტი იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები განხორციელდება – მათ შორის, პრეზიდენტისა და პარლამენტის საწინააღმდეგო – ისევ შევარდნაძეა. ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი მხოლოდ თამაშის წესებს აწესებს და თავად თითქმის არაფერში ერევა, ერთის მხრივ, არც არის კარგი, მაგრამ ჯობს, ბავშვმა წაიბორწიკოს და სიარული ისწავლოს, ვიდრე სულ ხელით ატარონ. სახელმწიფოს დაფუძნების პერიოდი სწორედ ასე მესმის – ეს არის დრო, როცა ჩვენში თოთო დემოკრატია სიარულს სწავლობს. სანამ დამოუკიდებლად ივლის, მას ამისთვის ჯერ პირობების შექმნა სჭირდება, სწორედ ეს არის შევარდნაძის, როგორც სახელმწიფოს დამფუძნებლის როლი. ნებისმიერი შემდეგი პრეზიდენტი, ალბათ, მართლაც იქნება სახელმწიფოს მეთაური და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, რომელსაც ექნება ფუფუნება, პარლამენტსაც წაეჩხუბოს, სასამართლოც გააკრიტიკოს, პოლიტიკური კამპანიაც აწარმოოს. შევარდნაძე ამ ფუფუნებას მოკლებული იყო, მაგრამ იყო სახელმწიფო სტრუქტურების დამფუძნებელი. ასე მესმის მე მისი როლი... ქვეყნის სტრუქტურების ჩამოყალიბება იწყება და ვისაც შენების სურვილი აქვს, ჩვენს გემში გადმოჯდეს“.

შევარდნაძეს ხოტბას კვლავ მიხეილ სააკაშვილი ასხამდა, მაგრამ მერე მოვლენები შეიცვალა და შევარდნაძის ლანძღვა გახდა საჭირო, მხოლოდ ასე თუ გაიკვალავდა სააკაშვილი პრეზიდენტობისკენ მიმავალ გზას. მერე კვლავ შეიცვალა რაღაცეები და დღეს სააკაშვილი სხვაგვარად ჭიკჭიკებს: **„საქართველო არშემდგარი, დეზინტეგრირებული, ღირსებაშელახული და სრულიად დემორალიზებული სახელმწიფო იყო. ეს იყო ქვეყანა, რომელსაც დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრიობის ყველა ატრიბუტი, ბატონობდა კორუფცია, დაუსჯელობა და უკანონობა, სადაც რიგით მოქალაქეებს ყოველ ნაბიჯზე ატყუებდნენ და ფულს სძალავდნენ. იყო ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნდა ბიუჯეტი და არ სრულდებოდა მოქალაქეთა წინაშე აღებული არცერთი სოციალური ვალდებულება. ქვეყანა, სადაც ადამიანის უფლებები ფეხქვეშ ითელებოდა. საქართველო თავდაცვისუუნარო ქვეყანა იყო – არცერთი ტანკი გამართული არ იყო და ერთსაათიანი ბრძოლისთვის საჭირო ტყვია-წამალიც კი არ გვქონდა, გვყავდა რამდენიმე თვის უჭმელი ჯარი** (სააკაშვილი თავს იწონებს იმით, რომ, თურმე, ძლიერი ჯარი შექმნა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, ვარდებით მოსული ხელისუფლების მიერ შექმნილი ჯარის სიძლიერე... – ავტორი). **გვქონდა ქვეყანა, რომელშიც კლანები, ფაშები და ფეოდალები თარეშობდნენ... საქართველო იყო ქვეყანა, რომელსაც საერთაშორისო ავტორიტეტი შელახული, ორიენტირი კი დაკარგული ჰქონდა, არ გააჩნდა ეროვნული იდეოლოგია და პატივს აღარავინ სცემდა** (თუ ეროვნულ იდეოლოგიაზე ვისაუბრებთ, ამ პრობლემის წინაშე დღესაც დგას ჩვენი ქვეყანა! ეროვნული იდეოლოგია არც დღეს გაგვაჩნია, სოროსის მიერ ხელისუფლებაში მოყვანილი სააკაშვილის გუნდისთვის, როგორც ჩანს, ეროვნული იდეოლოგია შადრევნების შენება და დოქტორ დოტის მასაჟი ან რესტორნებში სუშის ჭამა და გაუთავებელი ღრეობაა. რაც შეეხება ქვეყნის ავტორიტეტის შელახვას, არც ამ მხრივ გვაქვს საქმე სახარბიელოდ. სააკაშვილი საერთაშორისო არენაზე რომ გაკოტრებული პოლიტიკოსია, ამის ნათელი მაგალითია, რომ რომში **„ბარსელონას“ „საბალეშჩიკოდ“** ჩასული სააკაშვილი, მოგვიტევოს მისმა უდიდებულესობამ, მაგრამ ძალლად არ ჩააგდო არავინ! – ავტორი). **ეს იყო ქვეყანა, რომელიც ღირსეულ შვილებს ყოველდღიურად კარგავდა და რომლის მოქალაქეთა მთავარ ოცნებად სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გაქცევა და თავის შეფარება გახდა...** (არც ამ მიმართულებით აქვს სააკაშვილს სატრაბახოდ საქმე, რადგან მისი გაპრეზიდენტების შემდეგ მიგრაცია გაიზარდა და არც უკან დაბრუნებულა შევარდნაძის რეჟიმის დროს გაქცეული საქართველოს მოსახლეობა. ქვეყნიდან ხალხის გადინებაზე რომ არაფერი ვთქვათ, დღეს საქართველო ფიზიკურად კარგავს ახალგაზრდებს. შეგახსენებთ, რომ პატრულის მიერ დაახლოებით 80 ადამიანია დახვრეტილი! – ავტორი) **როდესაც გვეკითხებიან, რა არის თქვენი მთავარი მიღწევა, უნდა ვუპასუხოთ, რომ ჩვენი მთავარი მონაპოვარი სწორედ ეს არის – პირველად თანამედროვე ისტორიაში საქართველო ნამდვილი სახელმწიფო გახდა“.**

მართალია, პრეზიდენტი სააკაშვილი, აცხადებს, რომ თურმე, მისი და მისი ხელისუფლების მთავარი მონაპოვარი ის არის, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო შექმნეს, მაგრამ სახელმწიფოებრიობის ყველა ატრიბუტი დღესაც მოშლილია. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია, დემორალიზებული პარლამენტი გავიხსენოთ, რომელიც მასობრივი საპროტესტო აქციების დროს, ორი თვე შეკრებას ვერ ახერხედა...

შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, ახალბედა პოლიტიკოსი მიხეილ სააკაშვილი აცხადებდა: **„საბედნიერად, მეტწილად ჩვენი პრესა არ კონტროლდება“...** ეს **„ნაკლი“** მან პრეზიდენტობის დროს გამოასწორა და მედია სრული კონტროლის ქვეშ მოაქცია. დღეს არავისთვისაა უცხო, რომ ელექტრონული მედია, სრულად კონტროლდება სააკაშვილის ხელისუფლების მიერ, ხოლო ურჩი გამოცემები საერთოდ დახურეს.

სააკაშვილი ჯერ კიდევ პოლიტიკური კარიერის დასაწყისში წუხდა იმაზე, რომ, თუ სტრუქტურა არ შეიცვლება, პოლიტიკური მკვლელობები ისევ გაგრძელდებაო... არც შემცდარა, პოლიტიკური მკვლელობები მისი პრეზიდენტობის დროს ნამდვილად გაგრძელდა. ამის ნათელი მაგალითია პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას **„გაზით გაგუდვა“**. მისი ოჯახის წევრები დიად საუბრობენ იმაზე, რომ ჟვანიას მკვლელობა სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ აუცილებლად გაიხსნება და დაუფარავად აკეთებენ მინიშნებას იმაზე, რომ ეს პოლიტიკური მკვლელობა იყო. ჩვენთან საუბარში აკადემიკოს გურამ შარაძის ქალიშვილმა დიად განაცხადა, რომ მამისი სააკაშვილის ხროვამ მოკლა... გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ბიზნესმენი ბადრი პატარაციშვილი, მას შემდეგ, რაც მან პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა გადაწყვიტა...

როგორც ზემოთ კონკრეტული ამონარიდებით შეგახსენეთ, სააკაშვილი 1997 წელს მის აღმზრდელსა და წინამორბედს ქართული სახელმწიფოს დამაარსებელს უწოდებს და ჯორჯ ვაშინგტონს ადარებს, თუმცა ახლა თავად სურს ამერიკელი მამების ავტორიტეტთან გაიგივება. ისე, საინტერესოა, სააკაშვილი 1997 წელს ამბობდა სიმართლეს, თუ დღეს ღაღადებს ჭეშმარიტებს, როდესაც აცხადებს, რომ ქართული სახელმწიფოს შემქმნელი, მამა და მარჩენალია?!

მანანა ჩხეიძე

განხეთქილების გემი შემოცურდა ჩვენს ტერიტორიულ წყლებში

მიწა იძრა ამას წინათ საქართველოში ან როგორ უძლებდა აქამდე მშვიდად ჩვენს ბობოქარ სისულელეებს?! რომელთა შორის მოყვარე მეზობლის მტრადმოკიდება, ჩვენს შორის დარჩეს, უგუნურების მწვერვალია, საჯარო განცხადებისთვის კი დიპლომატიური ოვალურობის სიბლანტეში მოვაქციოთ და ვთქვათ: იმპულსური საგარეო პოლიტიკის დროებითი წარუმატებლობის ნიშნების შემცველია.

ვატრიალოთ დახშულ წრეში ჩვენი თავდაჯერებულობა, როგორც სათამაშო რკინიგზის მატარებელი და აღტაცებულებმა შიგა და შიგ ტაშიც დავცხოთ ჩვენი წინსვლისა და გამარჯვების ნიშნად.

რაღა ჩვენზე აღსრულდა სახარების წინასწარმეტყველება – **„...ბევრნი პირველნი უკანასკნელნი იქნებიან, ხოლო უკანასკნელნი – პირველნი“** (მათ. 19.30; მარკ. 10,31).

ვისაც არ სჯერა, რომ ერთ დროს ლიდერი ქვეყანა მაჩანჩალა სახელმწიფოდ ვიქეცით, გავატაროთ: ხელისუფლების სტრუქტურებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნის რეალური პერსპექტივა გარანტირებული აქვთ.

დანარჩენებმა კი ვაღიაროთ: აზერბაიჯანთან საკმაოდ გრილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, სომხებმა, მართალია, ორდენი დაგვკიდეს კისერზე, მაგრამ, ძალიან რომ ჰგავს მახრჩობელა მარყუჟს, ამას რა ვუყოთ?

ახლა თურქეთთანაც გავდივართ გეოპოლიტიკური დაპირისპირების ფრონტზე ძალების მოსასინჯად.

ძალის გამოყენების პიონერების (იგივე **„პატრიოტების“**) როლში საქართველო და მისი საზღვაო ძალები გამოდიან, რისი დემონსტრირებაც, ამას წინათ, კიდევ ერთხელ დავინახეთ, როცა ჩვენმა სასაზღვრო კატარდებმა თურქული ტანკერი დააკავეს.

ნუ განვსჯით, კანონიერი იყო ეს დაკავება თუ არა, სად მიცურავდა და მიჰქონდა თუ არა კონტრაბანდული საწვავი... უჩვენოდაც გაარკვევენ. სხვა კუთხით შევხედოთ ამ ფაქტს.

1994 წლიდან მოყოლებული საქართველოს მესაზღვრეებმა ასამდე თურქული გემი დააკავეს, ძირითადად, – თევზსაჭერი. ყველა ეს გემი ან აუქციონზე გაიყიდა, ან ჯართად დაიჭრა. დღეისთვის დაკავებული რჩება უცხოეთის 10 გემი (მათ შორის, თურქულიც) და ეკიპაჟების 21 წევრი.

თურქეთის მხარე ადრე არ კამათობდა, რომ საქართველო – მისი პარტნიორი ქვეყანა (რომელთანაც სამაგალითო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა) მეგობარ სახელმწიფოს უკანონობას არ აკადრებდა, დარწმუნებული იყო.

მაგრამ გაიცრიცა ჩვენი ავტორიტეტი, შეიცვალა ძალთა თანაფარდობა რეგიონში, უფრო ზუსტად, სიმპათია-ანტიპათიის საკითხები და, ვერ გეტყვით, რაოდენობრიობა ხარისხობრიობაში გადაიზარდა თუ აივსო ანკარის მოთმინების ფიალა, მაგრამ ფაქტია, რომ 2009 წლის 16 აგვისტოს ტანკერ **უკეტ**-ის დაკავებას საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა. გემის ეკიპაჟი 40 ათასი აშშ დოლარით დააჯარიმეს და კაპიტანს ჩვენმა სასამართლომ 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა; ეკიპაჟი (13 თურქი და 4 აზერბაიჯანელი) პატიმრობაში რჩება.

ანკარის რეაქცია მყისიერი იყო. მეორე დღესვე თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად არ ეთანხმება **უკეტ**-ის კაპიტანისთვის გამოტანილ განაჩენს და დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ გემი ნეიტრალურ წყლებში დააკავეს... მაგრამ ამ თემას, როგორც შევთანხმდით, არ ჩავუღრმავდებით.

რამდენიმე თვის წინ თბილისს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ახმედ ავუტოღლუ ეწვია და, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობის წინაშე სწორედ ეს საკითხი დააყენა.

ანალიტიკოსები თვლიან, რომ თბილისის ასეთი მოქმედება თურქეთს არა მხოლოდ მატერიალურად, არამედ პოლიტიკურადაც აზარალებს. ვის ვეჭიმებით! ხომ ცნობილია, რომ თურქეთს დღეისთვის უძლიერესი ფლოტი ჰყავს შავი ზღვის აკვატორიაში და რეგიონული ლიდერის პრეტენზია გააჩნია?!

ფაქტი, რა თქმა უნდა, ფრიად არასასიამოვნოა, მაგრამ იცით, რა არის ყველაზე მეტად დასაფიქრებელი? **ვაითუ, მართალია საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტების ვარაუდი, რომ თურქეთ-საქართველოს დამოკიდებულების გაუარესება ერთგვარი შირმაა თურქეთის ინტერესის დასაფარავად... აჭარის მიმართ(!).**

მართალია, ისინი ამბობენ, რომ ოფიციალური პირების მიერ ტერიტორიული პრეტენზიების განცხადებამდე საქმე არ მისულა, მაგრამ **თურქეთის მასმედიაში მუდმივად მუსირებს აჭარელი მუსლიმანებისა (?) და ეთნიკური აზერბაიჯანელების (?!) დისკრიმინაციის თემა და არაორაზროვნად ლაპარაკობენ მათი ინტერესების დაცვაზე თურქეთისა (და აზერბაიჯანის) პროტექტორატის დაწესების შესახებ საქართველოში მათი კომპაქტურად დასახლების ადგილებში.**

პრესაში იმასაც იხსენებენ, შარშანწინდელი აგვისტოს ომის დროს ბათუმის ნავსადგურში რეიდზე თურქეთის სადესანტო გემები რომ იდგა საზღვაო ქვეითების დანაყოფებით ბორტზე.

ერთ-ერთი ვერსიით, ამ მომენტში თურქეთის ხელმძღვანელობა ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა მოსკოვთან, მაგრამ არა იმისთვის, რომ საზღვაო ქვეითებს დაეცვათ **„ვარდების რევოლუციის“** მონაპოვარი. სავარაუდოა, რომ ისინი აჭარაში შევიდოდნენ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის თანხმობას მიიღებდნენ.

უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ ერთი გარემოებაც, რომელსაც მიმომხილველები განსაკუთრებულად ხაზს უსვამენ. შარშანწინდელი აგვისტოს შემდეგ თურქეთის მმართველ წრეებთან დაახლოებული მასმედიის საშუალებები ასეთ პროექტზე ალაპარაკდა: გამოცხადდეს საქართველო არშემდგარ სახელმწიფოდ და დაიყოს თურქეთის, რუსეთისა და აზერბაიჯანის გავლენის ზონებად...

ამის გაგონებას მერჩივნა, მიწა ჩამქცეოდა და თან ჩავეტანეო, იტყვიან.

მიწა იძრა საქართველოში!

ს. არმაზიშვილი

ლავრენტი ბერია — ქართული გენია

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

ამ სტრიქონების ავტორები თავად არიან მცირე დოზით მაინც ანტიკომუნისტები და ანტისოციალისტები და, აქედან გამომდინარე, სულმოკლენი.

ლოგიკურ წერტილამდე დასული ანტიკომუნისტი – ეს გახლავთ გამოუსწორებელი ინდივიდუალისტი, რომელიც მიიჩნევს, რომ ადამიანი ადამიანისათვის მგელია! მას ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება, რომ ჭეშმარიტად იარსებო სხვისათვის, და არა საკუთარი თავისათვის!

და პირიქით – თანმიმდევრული კომუნისტი – კოლექტივისტია, დარწმუნებული იმაში, რომ ადამიანი ადამიანის ძმა და მეგობარია. და ეს მისთვის გახლავთ არა ევანგელისტური რეპლიკა, არამედ კონკრეტული პოლიტიკური პრინციპი, რომელიც უარყოფს კერძო მესაკუთრეობას, როგორც ადამიანთა გათიშვის ფაქტორს.

სტალინი გახლდათ არა მხოლოდ თანმიმდევრული კომუნისტი – იგი გენიალური კომუნისტი მიყო. მას მხოლოდ სხვებისათვის, მსოფლიოს ხალხებისათვის შეეძლო ეცხოვრა. იგი ამაში საკუთარ საკაცობრიო ვალს ხედავდა, ვინაიდან, ვინც დიდი ნიჭითაა დაჯილდოებული, მას ბევრად მეტი მოეთხოვება!

არა, სტალინი არ იბრძოდა ხელისუფლებისათვის. იგი ხალხის სახელმწიფოს შექმნისათვის იბრძოდა. იგი მხოლოდ იმიტომ არ თმობდა პოზიციებს, რომ იცოდა – იმ კონკრეტულ **„საკადრო“** სიტუაციაში არ მოიძებნებოდა სხვა **„სათადარიგო“** ლიდერი, რომელიც შესძლებდა, რომ საბჭოთა ხალხისათვის ჭეშმარიტად ბედნიერი მომავალი შეექმნა.

და ეს ბრძოლა რომ ხელისუფლების შენარჩუნებისათვის გამიზნულ ქმედებად ჩავთვალოთ, უბრალოდ, სისულელე და სულმოკლეობაა. ვიმეორებთ, ეს იყო ბრძოლა რუსეთის ბედნიერი მომავლისათვის.

ჩვენს მიერ არაერთგზის მოხმობილმა ლიონ ფოიხტვანგერმა საბჭოთა კავშირზე წიგნი გამოსცა ამსტერდამში ჯერ კიდევ 1937 წლის რეპრესიების დაწყებამდე. იგი მხატვრულ ფორმატშია შექმნილი, მაგრამ მასში დოკუმენტურადაა დადასტურებული ის, თუ როგორი რუსეთის ხილვა სურდა იოსებ სტალინს უახლოეს მომავალში და როგორ არ აძლევდნენ მას ამის საშუალებას პარტოკრატები.

სტალინს არ სურდა სისხლისღვრა – მას შრომა ეწადა.

ფოიხტვანგერმა, რომელიც ჩვენდა გასაოცრად არც კომუნისტი იყო და არც პოლიტიკოსი, 1937 წელს **„დაიჭირა ეს წვრილმანი“** და აღნიშნავდა:

„უდიდესი ორგანიზატორი სტალინი, რომელმაც აღმოაჩინა, რომ რუსი გლეხის ძალისხმევითაც შეიძლება სოციალიზმის აშენება, როგორც დიდი ფსიქოლოგი და მათემატიკოსი (რა ზუსტი შედარებაა – ავტორი) მაქსიმალურად იყენებდა მაღალი მიზნის მისაღწევად მტრების ენერგიასაც კი, რომელთა შესაძლებლობებს იგი ყოველთვის უწევდა ანგარიშს. ამიტომ, მან წინასწარ შემოიკრიბა გარშემო ტროცკიზმთან სულიერად ახლოს მდგომი ადამიანები“.

მსხვილი შრიფტით გამოვყოფთ ტექსტს, რასაც შემდეგ წერდა ფოიხტვანგერი:

„სტალინი ულმობელ ადამიანად მიაჩნიათ, იგი კი დიდი ხანი იბრძოდა იმისთვის, რომ უნარიანი ტროცკისტები თავისკენ გადმოებირებინა, ნაცვლად იმისა, რომ ისინი მოესპო. სწორედ იმაში, რომ მტრები გამოეყენებინა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, არის რაღაც ამაღელვებელი“.

მაგრამ ეს სტრიქონები იწერებოდა 1937 წლის ზამთარში, როცა სტალინი ჯერ კიდევ სიტყვით ცდილობდა ტროცკისტთა მიმხრობას...

მაგრამ, ბევრ იმათგანს ძალზე დიდი წარმოდგენა გააჩნდა საკუთარ თავზე.

სწორედ ამისთანებზე თქვა სტალინმა თებერვალ-მარტის პლენუმზე:

„ჩვენში ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ თუ ის სახალხო კომისარია – ყველაფერი იცის. ფიქრობენ, რომ თანამდებობა მათ ძალიან ბევრ რამეს აძლევს., თითქმის ულეკ ცოდნას. ან ფიქრობენ: თუ მე ცენტრალური კომიტეტის წევრი ვარ, ესე იგი, შემთხვევით არ ვარ ცეკას წევრი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ვიცი...“

და მწარედ დაამატა:

– ყოველივე ეს არასწორია...

მაგრამ ესეც ვერ შეიგნეს.

და ვიღაცას ჯიბეში ბრანწიანი მუშტი ედო, ზოგს კი, ბრანწის ნაცვლად – ბომბი. ზოგს კი სურდა არა საკითხის კარდინალურად გადაჭრა, არამედ შემწვარი ვაშლებშემოწყობილი ბატის მირთმევა და **„სიცილი და სიყვარული“...**

მოდით, პატივცემულო მკითხველო, დავუბრუნდეთ 1936 წლის 12 ოქტომბერს, როცა კაგანოვიჩმა წერილი მისწერა სტალინს. მაინც რას სწერდა უმცროსი ამხანაგი უფროსს?

ბოდიში – ქალებზე?

ან იქნებ ძვირადღირებული ღვინოების ღირსებებზე?

ან იქნებ ვენეციის, ან სხვა ქალაქების სილამაზეზე?

არა...

გარდა იმისა, რომ **„გორკის სახელობის ავტოქარხანაში უხარისხოდ ხდება ძრავების, სიჩქარის გადამცემი კოლოფების და გადაბმის სისტემების უხარისხოდ აწყობა“** და მიმდინარეობს ამ დეფექტების აღმოფხვრა, და **„ესპანეთის საქმის“** კვალდაკვალ, კაგანოვიჩი წერს:

„სათესლე მასალაზე, რომლის თაობაზე თქვენ შესაბამისი მითითება მოგვეცით, დიდ სამუშაოს ატარებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილება. წიწიბურასთან დაკავშირებით გაირკვა, რომ არც ინსტიტუტებში, არც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში არ არიან ამ კულტურის მცოდნე სპეციალისტები. იგივე მდგომარეობაა ფეტვთან დაკავშირებითაც... რაც შეეხება ხორბლის საგაზაფხულო ჯიშებს, აქ გაირკვა, რომ ჯიშები არ არის დარაიონებული. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი საშუალო ზოლისა და ციმბირისთვის რეკომენდაციას უწევს ხორბლის ჯიშს „ცეზიულ-0111“-ს. ახლა გაირკვა, რომ ეს ჯიში ნაკლებ მდგრადია დაავადებისადმი და ჩამორჩება ჯიშს „ლიუტესცენც -062“-ს და ჯიშ „მილტურუმ 062“ს, რომელიც გამიზნულია აღმოსავლეთისათვის.

მიწათმოქმედების სახკომის მიერ არაშავმიწანიადაგიანი ზოლისათვის გამოყოფილი ჯიში „ნოვინკა“ მეტად მგრძნობიარეა დაავადებებისადმი...“

ეშმაკმა დალახვროს! მაინც როგორ შეიძლება ასეთი ადამიანების უპასუხიმგებლო და უუნარო მუშაკებად გამოცხადება! მათ ხომ საკუთარ თავზე აიღეს პასუხისმგებლობა ქვეყანაში მძლავრი ეკონომიკის შექმნისათვის?

ყველაფერი ეს ხომ საზოგადოების ინტერესებს ემსახურებოდა!

და ისინი ამ მძიმე ტვირთს ატარებდნენ კომპეტენტურად და ღირსების გრძნობით.

აბა, რას იმსახურებდნენ იმ ინსტიტუტებისა და სახალხო კომისარიატების თანამშრომლები, რომელთაც ხორბლის ჯიშების დარაიონებაც კი არ მოახდინეს?!

ისინი ხომ ნებისმიერ სასჯელს იმსახურებდნენ, თუნდაც მხოლოდ უთავბოლობაში ყოფილიყვნენ დამნაშავეები. მაგრამ, მათ შორის ხომ მრავლად იყვნენ მესაბოტაჟეები?

რატომ უნდა სცოდნოდა თვითგანათლებულ კაგანოვიჩს, რომ ხორბლის ჯიში **„ცეზიუმ-0111“** ბევრად უარესია ვიდრე **„მილტურუმ 0321“**, და რატომ არ უნდა სცოდნოდათ ეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის თანამშრომლებს?

თავად განსაზღვრეთ, აქვთ კი უფლება ვიღაცეებს ჩვენს ამდვრეულ დროში განსაჯონ ის დიდი ეპოქა, თუ ჩვენს თანამედროვეს ვაგლახით შეუძლია შეიმეცნოს იმ დროის პერიპეტიები, და თუ შეიმეცნებს, უფრო ჭკვიანი და წესიერი გახდება?

სტალინი და მისი უახლოესი თანამებრძოლები **სულდგმულობდნენ** სოციალისტური აღმშენებლობით. შემწვარი ბატისა და უზრუნველი ცხოვრების მოყვარულები კი გარედან აკვირდებოდნენ მოვლენებს. მათ არც ოფლისღვრა სურდათ და არც პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში მხოლოდ კალამ-კალმისტრით ჩატარებული წმენდა საქმეს დიდად ვერ წაადგებოდა. ძველი რევოლუციონერები აშკარად ვერ ართმევდნენ თავს სამეურნეო საქმიანობას, ახალგაზრდა პარტოკრატები და ბიუროკრატები კი ბრმები და ყრუები ხდებოდნენ და ვერ ხედავდნენ, თუ რა ხდებოდა მათ გარშემო.

სწორედ ამან მიგვიყვანა 1937-1938 წლების მოვლენებამდე.

მაინც რა გამოდის...

სტალინი უცებ არ გამხდარა ვეებერთელა ქვეყნის ლიდერი. იგი **„სწავლობდა, სწავლობდა და სწავლობდა“**, რათა გამხდარიყო ბელადი და დიდი სახელმწიფო მოღვაწე. სწავლობდა 1917 წლის მიწურულიდან.

მაგრამ, ამავე დროს, იგი იდეალისტიც იყო. ეს ფოიხტვანგერის ნაწარმოებშიცაა ხაზგასმული. ამიტომ, იოსებ სტალინს უყვარდა რევოლუცია საკუთარ თავში და არა საკუთარი თავი რევოლუციაში, სახელმწიფო საქმე იყო მოქცეული მისი ინტერესების სფეროში და არა პირადი საქმე. ბევრი მისი თანამებრძოლი ზუსტად სტალინივით უყურებდა ქვეყანას და საქვეყნო საქმეს. 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე სტალინი ამბობდა:

„ჩვენს პარტიაში, თუ მხედველობაში მივიღებთ მის მმართველ შრეს, გვყავს სამი-ოთხი ათასი უმაღლესი ხელმძღვანელი მუშაკი. მე ვიტყოდი, რომ ეს ჩვენი პარტიის გენერალიტეტია. შემდეგ მოდიან ოცდაათი-ორმოცი ათასი საშუალო რანგის ხელმძღვანელები. ესაა ჩვენი პარტიის ოფიცრობა. შემდეგ მოდის ასი-ასორმოცდაათი ათასი დაბალი რანგის ხელმძღვანელი. ეს, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პარტიის უნტერ-ოფიცრობაა...“

და სტალინისათვის მთელი ეს ძალა იდეურ მონოლითს წარმოადგენდა. ტყუილად კი არ უდარებდა იგი პარტიას მეომარ რაინდთა ორდენს. ეს შედარება ალბათ ბევრისათვის გაუგებარი იყო, სტალინი კი გულისხმობდა, რომ პარტიის თითოეულ წევრს ჯარისკაცივით უნდა გაეწირა სიცოცხლე სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მაშ ასე, სტალინი თანდათან იზრდება, იმდიდრებს გამოცდილებას და მაღლდება, როგორც ბელადი. ამასთან, იგი თანდათან რწმუნდება, პარტიაში საქმე ვერ არის მთლად მონოლითურად, უპირველესად კი პარტიის **„გენერალიტეტში“**.

რა თქმა უნდა, არიან საიმედო მეგობრები და უნარიანი თანამებრძოლები. მაგრამ არა – ყველა. ვიღაც ძველი ბოლშევიკთაგანი საკუთარ ამბიციას ყველაზე მაღლა აყენებს და უარს ამბობს ცოდნის გაღრმავებით მეურნეობის გაძღოლის ხელოვნების დაუფლებაზე. ვიღაცა კი, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ – **„ბღენძიაობს“**, ზოგიერთებს კი უკვე *ქონი აღრჩობთ....*

სტალინისათვის ყველაფერი ახლა იწყება, სამუშაოს ბოლო არ უჩანს, მათ კი ეს არ აწუხებთ და კომფორტისაკენ მიისწრაფიან. ჯანდაბას მათი თავი, საქმე რომ მხოლოდ მატერიალურ კომფორტს ეხებოდეს – მათ სულიერი კომფორტიც სჭირდებათ. რაში სჭირდებათ მათ მუდმივი ბრძოლა და ის, რომ სიმშვიდეს მხოლოდ ძილში თუ მოიპოვებენ.

და სტალინი მწარე სინანულით ხედავს, რომ პარტიული ამხანაგები ფორმალურად კვლავ ამხანაგები არიან, მაგრამ, ფაქტიურად, უკვე **ყოფილ** ამხანაგთა რიგებში გადაინაცვლეს, ინტრიგებს არ ეშვებიან, რაღაც ჯგუფებს აკოწიწებენ, ვიღაცა მათგანი შეთქმულებაში მონაწილეობასაც არ ერიდება.

სტალინი კი ახალი საზოგადოების შექმნის იმედით ცოცხლობს – იგი ხომ თავისი მრწამსით კომუნისტია. მაგრამ იგი, როგორც ეს შენიშნა ფოიხტვანგერმა – რაღაცით იდეალისტია. ასე ვთქვათ, პრაქტიკული რომანტიკოსი.

და სტალინი, როგორც რომანტიკოსი, რომელმაც საკუთარი თავი გამოზარდა ბელადად, თანდათან ხვდება, რომ საქმე საკმაოდ ცუდადაა... იგი დარწმუნებული იყო, რომ საკავშირო კომპარტიის გენერალიტეტი და ოფიცრობა ერთ დიდ იდეურ ძალას წარმოადგენს. მაგრამ, თურმე ყველაფერი ეს ასე არ არის.

იგი ფიქრობდა, რომ კერძო საკუთრებისაგან განთავისუფლებული საზოგადოების მმართველი ძალა ყველგან და ყველაფერში იქნებოდა გონება და იდეა, მაგრამ... გაირკვა, რომ მათ პარტიული ჩინოვნიკები მართავენ.

თანაც, რუსეთში თავი წამოყვეს აქამდე უჩინარმა ახალგაზრდა ძალებმა! ესენი ჯერ კიდევ დამაჭრებისა და დუღილის პროცესში იმყოფებიან. მაგრამ ამ მაჭარს საშიშროებას უქმნიან სწორედ პარტიული ჩინოვნიკები.

სწორედ ამიტომ ფიქრობდა სტალინი გამმაფრებულად – როგორ უნდა შეიცვალოს სიტუაცია? როგორ უნდა დაუპირისპირდეს ჭკვიანი, შემოქმედებითი საზოგადოების მტერს – ბიუროკრატიას? გამოსავალს მხოლოდ საბჭოთა ხალხთა მასების ინიციატივის გაძლიერებსა და მისი უფლებების გაფართოებაში ხედავს. ასე დაიბადა ახალი კონსტიტუცია.

მაგრამ ეს ცოტაა – ეს ზოგადი პრინციპია. როგორ უნდა მოხდეს მისი კონკრეტიზირება, როგორ უნდა გაძლიერდეს მშრომელთა კონტროლი ხელისუფლებაზე ერთპარტიული სისტემის პირობებში? ასე წარმოიქმნა ალტერნატიული არჩევნების ჩატარების იდეა.

მაგრამ ბიუროკრატი წინააღმდეგობას უწევს ყოველივე ამას. ფორმალურად ჯერ კიდევ ამხანაგი, რეალურად უკვე მტერი ხდება – დღეს თუ არა, ხვალ მაინც მტრად მოგეკიდება. და ამიტომ, დროის დაკარგვა არ შეიძლება. დაყოვნება სიკვდილის ტოლფასია. სტალინის კი არა – სახელმწიფოს სიკვდილია.

სავარაუდოა, რომ 1937 წელს სტალინი საბოლოოდ ჩამოყალიბდა პოლიტიკური თვითგანათლების მქონე ფხიზელ ბელადად. იმ ბელადად, რომელსაც გამძაფრებული ჰქონდა მომავლის პერსპექტივის ხედვა და არ იყო, მისი მრავალი კოლეგისა და თანამებრძოლის მსგავსად, ილუზიებს აყოლილი. შეიძლება ამანაც განაპირობა მისი სკეპტიციზმი და სისასტიკე. მაგრამ ეს სისასტიკე მას გააჩნდა ზუსტად იმ ზომით, რა ზომითაც შეიძლება ჰქონდეს ქვეყნის მეთაურს, როცა მის მიერ მართულ ქვეყანას და ხალხს ბედნიერებისათვის ბრძოლაში დამარცხება ემუქრება.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართვა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს უნივერსიტეტების რექტორებს, ყველა ობიექტურ ლინგვისტსა და ისტორიკოსს!

ქართველი ერის აშკარად ფალსიფიცირებულ ისტორიასთან ერთად ჩვენს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლება, რომ, თითქოსდა, ჩვენი დამწერლობა (ასომთავრული) შექმნილია მანამდე არსებული რომელიღაც უცხოური დამწერლობის პროტოტიპად გამოყენების საფუძველზე, მაგრამ რომელი იყო პროტოტიპი, შეთანხმებული აზრი არ არსებობს. ასევე, დღემდე გაბატონებული აზრის თანახმად, ასომთავრულის თანდათანობითი განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა ჯერ ნუსხური, შემდეგ, მისგან ჩვენი ულამაზესი მხედრული დამწერლობა.

ჩვენი გამოკვლევებით დადგინდა, რომ მხედრული დამწერლობა ჩამოყალიბდა ეროვნულ ნიადაგზე ხატოვანი დამწერლობის თანდათანობითი ევოლუციის გზით, ხოლო ასომთავრული შექმნილია მხედრული დამწერლობით განვითარებული მეცნიერების ბაზაზე, ერთ დროს ერთდროულად. ორივე ეს დამწერლობანი შექმნილია მანამდე, სანამ შეიქმნებოდა რომელიმე სხვა უცხოური დამწერლობა, რადგან ჩვენი ასომთავრული ნიშნების ანბანთა მწკრივში განლაგების რიგითობა მოტივირებულია გარკვეული საფუძვლებით, ხოლო ყველაზე უძველესად მიჩნეული ფინიკიური და მის საფუძველზე შექმნილი ბერძნულ ასონიშანთა რიგითობა არაფრით არაა მოტივირებული. ამაში არავინ მედავება, მაგრამ დღემდე დაუძლეველ ბნელ ძალას, ჩვენი დამწერლობის ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობის აღიარებას, ურჩევნია ის მესროპ მაშტოცის შექმნილი იყოს, ვიდრე ამ აღიარების საფუძველი იბერიული ენით აიხსნას.

მიუხედავად იმისა, არაოფიციალურად და ოფიციალურად რამოდენიმეჯერ მივმართე ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს და ბოლოს განათლების სამინისტროს რომ გასცნობოდნენ ჩემს ნაშრომს **„ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი“** და გაეკეთებინათ შესაბამისი დასკვნა პალეოგრაფიას არ იცნობსო დაასკვნეს. შეიძლება, მართლაც ჩემზე უკეთ ბევრი იცნობდეს პალეოგრაფიას, მაგრამ ქართულ დამწერლობათა (მხედრულისა და ასომთავრულის) წარმომავლობის დადგენაში (რადგან ისინი კაცობრიობის პირველი დამწერლობებია) მარტო პალეოგრაფიის ცოდნა არ კმარა, საჭიროა გრაფიკის ენის ცოდნა, რაშიც არქიტექტორებს და ინჟინრებს დიდი უპირატესობა გვაქვს ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებთან შედარებით. ამიტომ ჩემთან დისკუსიას და აზრთა გაცვლა-გამოცვლას გაურბიან, პირიქით, ცდილობენ ყოველმხრივ შემბოჭონ, რათა საზოგადოებაში არ გავიდეს ჩემი გამოკვლევები. ასეთმა ვითარებამ გამხადა იძულებული გაზეთ **„ილორის“** ფურცლებიდან მიმართა ადრესატებისათვის.

საქართველოს ისტორია ძირითადად დაწერილია **„ქართლის ცხოვრების“** საფუძველზე, რომლის თანახმად ფარნავაზ მეფემ **„განავრცო ქართული და სხვა ენა არღა იზრახებოდა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“**. ქართლად **„ქართლის ცხოვრების“** მიხედვით მოიაზრება პოსტიბერიული სივრცე, რადგან **„ეგრისის მეფემ – ქუჯიმ ეგრისი ქართლის მეფეს – ფარნავაზს ჩააბარა“**.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით ცნობილია იბერიის მეფეთა გენეალოგია აზოდან (აზონიდან) დაწყებული 29-ე მეფით – რევ II–ით დამთავრებული. ამ პერიოდის კოლხეთის მეფენი არ ჩანან, რაც გვაფიქრებინებს, რომ კოლხეთი იმხანად, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არსებობდა, ე.ი. იბერია 523 წლამდე მოიცავდა, სულ მცირე, დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოს ტერიტორიას. ამას მოწმობს სპარსული ორიენტაციის აიეტის მიერ 554 წელს, ჩვენი აზრით, იბერიის დაცემის შემდეგ შექმნილი კოლხეთის მეფე გუბაზ II-ის მკვლელობის გამო გამართულ სახალხო კრებაზე წარმოთქმული სიტყვები: **„ ... გაქრა კოლხთა ძველი დიდება და ამიერიდან ვეღარ ვეღირსებით იმას, რომ სხვებს ვბრძანებლობდეთ: ისიც უნდა ვიკმაროთ, თუ მივაღწევთ იმას, რომ ძალიან არ დაგვჩაგრონ იმათ, ვინც წინათ ჩვენი ქვეშევრდომი იყო“** (იხ. გ-თი **„ფარტაზის სამრეკლო“**, ოქტომბერი, 2000 წ.)

პავლე ინგოროყვას **თხზულებათა კრებულში** (ტ. IV, 1975, გვ. 505) ვკითხულობთ: **„უძველესს ჩვენს დრომდე მოღწეულ ქართულ მატიანეში, რომელსაც ეწოდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, მოიპოვება მთლიანი ნუსხა ანტიკური ხანის იბერიის მეფეებისა - „მეფენი ქართლსა შინა წარმართნი“. ეს სია ძირითადში მოიცავს ექვს საუკუნეს, დაწყებული ალ. მაკედონელის ეპოქიდან, ვიდრე მე-IV საუკუნის დასაწყისამდე ჩვენი წელთაღრიცხვისა“.**

ცხადია, იბერთა მეფენი ქართლსაც მეფობდნენ, რადგან ქართლი იბერიას ექვემდებარებოდა, მაგრამ **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“**-ს მემატიანე ამ ჭეშმარიტებას იგნორირებას უწევს და წერს: **„მეფენი ქართლსა შინა წარმართნი“.**

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქართული სახელმწიფოსა და ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის არსებობა იწყება 12 საუკუნით ადრე, კოლხეთ-იბერიის არსებობის იგნორირების ხარჯზე, რასაც შეიძლება უმძიმესი ნეგატიური შედეგები მოჰყვეს, რადგან სინამდვილეში, **ქართლს** სახელმწიფოს სტატუსი მიენიჭა 899 წელს და არა ფარნავაზ მეფის დროს. ქართლის პირველი მეფეა ადარნასე II ბაგრატიონი.

„ქართლის ცხოვრებაში“ განვითარებულ ბევრ ცნობას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ინგლისელი ისტორიკოსის – ჰენრი როულინსონისა და ჩვენი აკ-ის ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოწოდებული ცნობები (იხ. ექვთიმე თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოთ. ჟ-ლი **„მნათობი“**, 1948 წ. №8.).

ყოველივე ზემოხსენებული მასალების გაანალიზება, ამასთან, შ. ნუცუბიძის **შრომები V** (პეტრე იბერი და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა, 1975) მრავალ წინააღმდეგობებს ბადებს, კერძოდ, გასარკვევია:

ვინ იყო კოლხ-იბერთა ის ქვეშევრდომი, რომლისგან დაჩაგვრის შიში ჰქონდა აიეტს, თუ სპარსელებს არ **„დაუმოყვრდებოდნენ„**?

რატომ ერქვა სახელმწიფოს იბერია, თუ მისი სახელმწიფო ენა ქართული, ანუ ქვეშევრდომის ენა იყო?

თუ იბერები ქართულად მეტყველებდნენ, რატომ მოუწვიეს და გააყოლეს ბიზანტიაში მასწავლებლად იბერიის მეფე – ბაკურის შვილიშვილს – მურვანოსს, იგივე ნაბარგუნიოსს, შემდგომ სასულიერო ცხოვრებაში პეტრე იბერს იოანე ლაზი (მეგრელი), რომ მშობლიური ენა არ დავიწყებოდა? უბრალოდ, არ შერცხვებოდათ, რომ ქართული ენის უკეთ მცოდნე ლაზ-მეგრელები, ანუ სხვა ეთნოსი იქნებოდა?

რაკი იოანე პეტრიწის ნაშრომმა ჩვენამდე მოაღწია, სად გაქრა პეტრე იბერის გენიალური ნაშრომი **„მიზეზთა წიგნი“,** რომელიც იოანე პეტრიწს (1050 – 1125) ხელში ეჭირა, თუ ის ქართულად იყო დაწერილი?

თუ **„შუშანიკის წამება“** მეხუთე საუკუნეში ქართულ ენაზე იყო დაწერილი და ბოლნისისა და იერუსალემის ლაზთა მონასტერზე ქართული წარწერები მეხუთე საუკუნეშივეა დატანილი, რომლებშიც ძველი ქართული ენის არასპეციალისტისთვისაც გაუგებარი არაფერია, რატომაა უგანათლებულესი იოანე პეტრიწის ენა (ქართული) ისე მძიმე, რომ თარგმანის გარეშე, ბევრს ვერაფერს ვიგებთ? მეხუთე საუკუნიდან იოანე პეტრიწამდე ექვსი საუკუნე დევს. ამ ხნის განმავლობაში ქართული ენა, იმის მაგივრად, რომ უფრო განვითარებულიყო და დახვეწილიყო, მით უმეტეს, სახელმწიფოებრიობის მოპოვების შემდეგ, პირიქით, გართულდა და გაუხეშდა?

თუ იოანე პეტრიწის დროინდელი ენა ისე სრულყოფილი იყო, როგორც **„ცურტაველის ენა“**, რატომ იკლავდა თავს და რატომ აერთიანებდა დღე და ღამეს იოანე პეტრიწი, რომ შეექმნა სიტყვა მდიდარი და ლექსიკით ტკბილსასაუბრო ენა? **[„ ... არა ვეც რული სარეცეთა მომდოვრებისა ჩემ(ი)სათა, და არცა წამი სასუენთა სულისა ჩემისათა, ვიდრემდის არა მომხედა მე გონებითმან ცისკარმან დღეთადმი, რომელთა ბნელი უმეცრებათაჲ არღ(ა) ენაცვლების; და აღვიშურე ტომისათვის გვართა ჩემისა მე მიდმოობაჲ ენისაჲ გალექსებული და მესხუეჲ მდაბრიონთაგან, ... “** (იოანე პეტრიწი, 1937, გვ. 220)].

თუ **„ქართლის ცხოვრება“** მართლაც მე-11 საუკუნეშია დაწერილი ქართველი ეპისკოპოსის ლეონტი მროველის მიერ, რას ეყრდნობოდა იგი, როცა წერდა:

„აქამომდის (იგულისხმება მე-6 საუკუნე ძვ.წ.აღ-ისა, კ.ფ.) **ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსაც ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართუელთაც დაუტევეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგანი შეიქმნა ენა ქართული. იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთა, რამეთუ ცოლქმრობისათუის არა უნდა ნათესავობა და ყოველსა ნათესავთა სულიერსა სჭამდეს; საფლავი არ იყო მკუდარს შესჭამდეს“ („ქართლის ცხოვრება“, თბ. 1942, გვ. 10).** ან კიდევ, იაფეტის შვილიშვილს – თარგამოსს ჰყავდა რვა შვილი, რომელმაც უფროსს – ჰაოსს მისცა მთელი კავკასიის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი დანარჩენ 7 შვილს დაუნაწილა“ (პერიფრაზი ჩემია, კ.ფ.).

ჯერ ერთი, თარგამოსი სხვაგან არსად არაა ნახსენები, მოგონილია ამ თხზულების უცნობი ავტორის მიერ და, მეორეც, ასეთ სიცრუეს, თავისი ერისა და ქვეყნის საწინააღმდეგოს, ღვთის მოშიში ქრისტიანობის მოძღვარი, ეპისკოპოსი, როგორ დაწერდა?

თუ ჭეშმარიტებად მივიღებთ ქუჯი – ფარნავაზის ურთიერთობას და ფარნავაზის მიერ მთელს პოსტიბერიულ სივრცეში ქართული ენის გავრცელებას, როგორ უარვყოთ, რომ კავკასიის ნახევარი ქართლიანად სომხებს ეკუთვნოდა და ქართლოსიანთა ენა სომხური იყო? ისინი ხომ სწორედ ამ სიცრუის საფუძველზე ეპოტინებიან ისტორიული მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიას?

თუ ვერ შეველევით **„სასიამოვნო“** სიცრუეს, რომ არ არსებულმა ქუჯიმ მეფობას, რომელიღაც სოფლის **„მამასახლისის შვილის“** - ფარნავაზის მონობა არჩია და თავისი სამეფო მას გადაულოცა, ხოლო ფარნავაზმა უარყო განუსაზღვრელი გამომსახველობითი უნარის მქონე საკუთარი იბერიული ენა და **„განავრცო ქართული“**, როგორ უარვყოთ არასასიამოვნო სიცრუე, რომელიც ჩვენი უძველესი წინაპრების სისხლით გაპოხიერებული ისტორიული მიწების წართმევით გვემუქრება?

ცნობილია, რომ სამეგრელოს სამთავრო ლევან II დადიანის სიკვდილის შემდეგ (1657 წ.) შემოსაზღვრა რიონსა და ენგურს შორის ტერიტორიით და არა ფარნავაზის დროიდან. ხომ არ ეყრდნობა „ქართლის ცხოვრების“ ვერაგი ავტორი უსინათლო და **„უმწეო“** თეოდოს II-ის მიერ თავისი დისშვილის, ქართლის უფლისწულის – ბაგრატ III ბაგრატიონის ეგრის-აფხაზეთის მეფედ კურთხევას და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს?

რომელი ენა იყო ეგრის-აფხაზეთში სახელმწიფო ენა ბაგრატ III გამეფებამდე მაინც? რატომ მოიხსენიებოდა მთელი საქართველო აფხაზეთად უცხოურ წყაროებში XI-XII საუკუნეებში და, არცთუ იშვიათად, მოგვიანებითაც (იხ. ივ. ჯავახიშვილი ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002).

თუ ქართლი უფრო ძლიერი იყო იმ ხანად, ვიდრე ეგრის-აფხაზეთი და ამიტომ ეწოდა საერთო სალიტერატურო ენას ქართული, რისი ეშინოდათ ბაგრატ II-ე და გურგენ II-ს, შემდგომ ნათესავებს, ვინმე სუმბატსა და გურგენს, რატომ არ დაუთმეს საკუთარ მემკვიდრეს კუთვნილი მამული თავიანთ სიცოცხლეში, სუსტისგან ძლიერი, როგორ დაიჩაგრებოდა? რატომ დაიდვარა სისხლი?

თუ სომხური ტექსტი, რომლიდანაც ითარგმნა **„ქართლის ცხოვრება“**, ნათარგმნი იყო ქართულიდან და დედანი ქართველი ეპისკოპოსის – ლეონტი მროველის მიერ იყო დაწერილი XI საუკუნეში, რატომ არ შეინახეს იგი? ამით ხომ უკეთ დაამტკიცებდნენ ნახევრად ცრუ **„ქართლის ცხოვრების“** ჭეშმარიტებას?

რატომ შეიყენარეს **„ქართლის ცხოვრებაში“** გარეული არმენული შხამი, თუ არ გაუტკბათ ვახტანგ VI-ის დროს ცრუ ცნობა იბერიაში ფარნავაზის მიერ სახელმწიფო ენად ქართულის გავრცელების შესახებ? არ უნდა მივხვდეთ, რას ნიშნავს **„ეგრისის მეფე ქუჯის“** მიერ **„დიდსულოვნების გამოჩენა“** და მეფობის დათმობა? რომელი ჭკუათმყოფელი მეფე დათმობს მეფობას, თუ მას მკაცრი სინამდვილე არ აიძულებს? როდის მივხვდებით და რაში გეჭირდება არ არსებული ქუჯის მუდმივი განდიდება, როცა უმწეოდ და უნიათოდ მოვიხსენიებთ ეგრის-აფხაზეთის მეფეს თეოდოს II-ეს, რომელმაც სინამდვილეში გააკეთა ის, რასაც არარსებულ ქუჯის ვაბრალებთ? როდის მივხვდებით, რას ნიშნავს მამასახლისამდე ფარნავაზის მამის, თუ ბაბუის დამცირება? რა, ლეგენდარულ იბერებს სამეფო დინასტია არ ჰყავდა და, მართლაც არმენები იყვნენ ჩვენი მეფენი? თუ იმას გვეუბნება შეფარვით, რომ ქართლელებს, იმ ხანად მამასახლისზე დიდი მეთაური არ ჰყავდათ?

თუ წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომი **„როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ“** ვერ ასახავდა რეალობას, არგუმენტირებულად უარეყოთ იგი, რატომ ამოხიეს ჟურნალიდან? (იხ. ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჟურნალი **„მნათობი“,** 1948 წ. №8).

თუ ე.წ. მეგრული (იბერიული) პროტოქართული ენა არ არის, როგორ ხსნის იგი საერთო სალიტერატურო ენის ეროვნული წარმოშობის სიტყვების ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიას და არსს და არა სხვა რომელიმე ქართველური ენა? რატომ ვერ იხსნება ეთნიკური სახელწოდება **„ქართი“**-ს ეტიმოლოგია და არსი ე.წ. მეგრული ენის გვერდის ავლით? რომელია უფრო უპრიანი, ჩვენს სალიტერატურო ენას ერქვას ქართული, რომელიც ვერ ხსნის აღნიშნულს, თუ იბერიული, რომელიც ამას ძირისძირამდე ახერსებს? გთხოვთ, იყოთ ობიექტურნი!

რატომ არ შემოდიან ჩემთან დისკუსიაში სპეციალისტები, როცა ვამტკიცებ ქართული დამწერლობების იბერიულ წარმოშობას, თუ ჩემი არგუმენტები უსაფუძვლოა?

ქართები იბერთა მემკვიდრეებია, თუ, პირიქით, იბერებია ქართების მემკვიდრენი, როგორც ქართველი ერისათვის თავსმოხვეული სიცრუეთ წარმოგვიდგენენ? თუ ასეა დაამტკიცეთ. ჩვენ რისი მტკიცება შეგვიძლია, ზემოთ ავღნიშნეთ.

ყოველივე ზემოაღწერილი შეუსაბამობის შემდეგ შეიძლება **„ქართლის ცხოვრება“** გამოვიყენოთ და მის საფუძველზე დავწეროთ საქართველოს ისტორია?

ვისთვისაა სასარგებლო ზემოხსენებული პრობლემების იგნორირება და კოლხურ-იბერიული ფესვების ამოძირკვისათვის გამუდმებული ბრძოლა, ქართველებისათვის, თუ არმენებისათვის?

ქვეყანა, რომელიც ნახევრადცრუ ისტორიას ეყრდნობა, შეძლებს შეინარჩუნოს არსებობა?

როდემდის გავაგრძელოთ ქართველი ერის სულიერი სამყაროს დამახინჯება?

როგორ აღვზარდოთ ახალგაზრდობა პატრიოტული სულისკვეთებით, როცა მისი ერის ისტორია ასე წინააღმდეგობრივია?

თანამედროვე საერთო ქართული სალიტერატურო ენისა და ე.წ. მეგრული (იბერიული) ენის ლექსიკის შედარებითი ანალიზიდან ირკვევა, რომ იბერიული ენის კომპონენტი საერთო სალიტერატურო ენაში იმდენად დიდია, ის არ შეიძლება დაჩაგრულად ჩაითვალოს, როგორც ეს მავანს სურს იყოს. იბერიულ ენაში შემონახულია ბგერების წარმოშობის მექანიზმები, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, საერთოდ, მეტყველების წარმოშობის გადაჭრის საკითხში, რაც უდიდესი ღირებულებისაა ლინგვისტურ მეცნიერებაში. ამასთან, იბერიული ენით ირკვევა ქართული დამწერლობების (მხედრულისა და ასომთავრულის) ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობა. უფრო მეტი, თუ ჩვენს საერთო სალიტერატურო ენას იბერიულ კომპონენტს გამოვაცლით, დაგვრჩება სპარსული, არმენული, ბერძნული, არაბული, ლათინურისა და თურქული კონგლომერატი, მათი ნაზავი. ამიტომ იბერიული ენის როლის დაკნინება საერთო სალიტერარტურო ენის შექმნის საქმეში და მისი, როგორც წინარე ენის უარყოფა, პირდაპირ, იმ ტოტის მოჭრაა, რომელზეც ვზივართ. ჩვენი ერის მტრებმა ყველაფერი ეს ბრწყინვალედ იციან და იბერიული ენის არმცოდნე ქართველებს არწმუნებენ, რომ ქვეყანაში ე.წ. მეგრული და სვანური ენების არსებობა გარდაუვალს ჰყოფს საერთო სალიტერატურო ენის დაშლასო; ამასთან ცდილობენ დაარწმუნონ ე.წ. მეგრელები, თქვენ ქართველები არა ხართ და ამიტომ გავიწროებენო. სინამდვილეში კი მათი საბოლოო მიზანია ურთიერთდაპირისპირება, ქვეყნის შიგნით შუღლი, დღემდე არსებული წინარე ენისა და საერთოდ ქართველი ერის მოსპობა. სწორედ, საერთო სალიტერატურო ენისა და მეგრულ-სვანური ენების ადგილის გაურკვევლობის საფუძველზე განაცხადეს საქართველოს მტრებმა თავიანთი საქციელის გასამართლებლად, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, ევროპაში: **„ქართველები გაურკვეველი წარმომავლობის ერიაო“.**

მაგრამ ფაქტია, ქართული წყაროებითა და **„ქართლის ცხოვრებით“** ეს უდიდესი ღირებულებები იმდენადაა იგნორირებული, რომ ზოგადეროვნული ღირებულებების იბერიულ ფესვებში ძიებას ზოგი მეცნიერი ღალატად გვითვლის, ე.ი. იბერები, როგორც ქართველთა წინაპრები, უარყოფილია, რაც საფუძველს აძლევს აგრესიულ მეზობლებს პირველი შესაძლებლობისთანავე, მოურიდებლად დაეუფლონ ჩვენს დარჩენილ ისტორიულ ტერიტორიებს.

როდემდის უნდა ვამახინჯოთ ჩვენი მომავალი სიცრუის სწავლებით? რაც სიცრუის სწავლებამ და ჭეშმარიტების იგნორირებამ მოგვიტანა, სახეზეა. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ გასცეთ ყველა ზემოდასმულ კითხვებს ობიექტური და დამაჯერებელი პასუხი, რომ ქართველმა ერმა იცოდეს, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ, რა გზას დაადგეს ქვეყნის გადარჩენისათვის და ვერც ვერავინ გვკადროს **„ქართველები გაურკვეველი წარმომავლობის ერიაო“.** უმორჩილესად გთხოვთ ნუ გადადებთ ამ პრობლემების გადაწყვეტას, ეს ქართველი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა, კონკრეტულად, თქვენგანაა საინტერესო ჩემთვის უპირატესად ცნობილი დიდად პატივცემულო ჭეშმარიტო მეცნიერებო და, სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში არსებულო ძალადმეცნიერებო, ბატონებო და ქალბატონებო: **თამაზ გამყრელიძეგ, მარიამ ლორთქიფანიძეგ, როინ მეტრეველო, მიხეილ ქურდიანო, გუჩა კვარაცხელიავ, ჯონი აფაქიძეგ, თემურ გვანცელაძეგ, ტარიელ ფუტკარაძეგ, ვაჟა შენგელიავ, კოტე კაკიტაძეგ, ლალი ეზუგბაიავ, დარეჯან თვალთვაძეგ, ლეილა მირიანაშვილო, მანანა სოტკილავავ, ზურაბ პაპასკირო და მერაბ ნაჭყებიავ** და თქვენგან მოვითხოვთ პასუხს, სხვათაგან პასუხი არ გვაინტერესებს, თქვენს პასუხს ელოდება ქართველი ერი.

კუკური ფიფია,
საქართველოს მეცნიერთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა“-ს და ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

არჩევანი მე, სიყალბე და უბედურება, შენ...

უკრაინული ექო

დაახლოებით ასეთ ნოტაზე დასრულდა საპრეზიდენტო არჩევნები უკრაინაში, სადაც პირველად მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩატარდა არჩევნები ყოველგვარი გაყალბებისა და ძალადობის გარეშე. მას შემდეგ, რაც უკრაინელმა ხალხმა საკუთარ ტყავზე იწვნია ამერიკული **"დემოკრატიის"** მძაფრი სურნელი და ხუთი წელი იცხოვრა იმ ვირტუალური კეთილდღეობის სამყაროში, რისგანაც საქართველოს ვერა და ვერ დაუღწევია თავი, ამ პრინციპულმა ერმა საკუთარი საბოლოო არჩევანი გააკეთა.

დიდი უკრაინელი ხალხის გონივრული გადაწყვეტილება მაინცა და მაინც სასიამოვნო არ აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფლებისა და მისი ჯიბის მასმედიისათვის, რადგან სიმწრისაგან ყბამოქცეული დიქტორები და მოსყიდული ქირიაყვირიები ლამის ცრემლს აღვარღვარებდნენ იმის გამო, რომ მათი ფავორიტი სომეხი ქალბატონი იულია ტიმოშენკო პოლიტიკურად თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა და ასპარეზის დატოვება მოუხდა. ჩვენმა ხელისუფლებამ საბოლოოდ დაჰკარგა თავისი ავანტურისტული ქმედებების საცდელ პოლიგონად ქცეული უკრაინა, რომელსაც იგი თავის საშველად გასაქცევ საიმედო პლაცდარმად მიაჩნდა.

დიდი ფული ჩააყარეს ამერიკელმა მილიონერმა სომხებმა, რათა უკრაინსა და საქართველოს სათავეში თავიანთი ინტერესების გამტარებელი ხალხი დაესვათ. რაღაც ეტაპზე ეს შესძლეს კიდეც, მაგრამ უკრაინელები დროულად გამოერკვნენ პოლიტიკური ლეტარგიული ძილიდან და ლამის უიმედოდ დაკარგული უკრაინა დაიბრუნეს.

ახლა ჯერი საქართველოზეა!

როგორ ფიქრობთ, უკრაინელი ამომრჩევლები შესძლებდნენ გაუყალბებლად სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, თავიანთი შეურიგებელი პოზიცია რომ არ გამოეხატათ იმ სიცრუის მიმართ, რაც მას თავს მოახვია ყოფილმა პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ და მისმა პრომამერიკულმა უბადრუკმა გარემოცვამ?

არ დაიჯეროთ!

სწორედ რომ უკრაინელმა ხალხმა არ დაუშვა არჩევნებზე საქართველოდან ჯგროდ წასული **"დამკვირვებლები"**, რომელთაც ჩვენმა გამყალბებელმა ხელისუფლებამ უკრაინული საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბების, საჭიროების შემთხვევაში კი არეულობების გამოწვევა და არჩევნების ჩაშლის გეგმა დაუსახა (ისიც გამოსარკვევია, თუ ვისი შეკვეთით მოქმედებდნენ უკრაინაში დაკავებული ეროვნებით ქართველი მოქალაქეები, რომელთაც დიდძალი ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოაჩნდათ).

ვიდრე ქართველი ერის თავის პრინციპულ და შეურიგებელ პოზიციას არ დააფიქსირებს საკაშვილისა და მისი რეალობის გამყალბებელი გარემოცვის მიმართ, მანამდე მოგვიწევს იმ სიყალბის ატანა, რაც ცხოვრების ნორმად გვიქცია შევარდნაძისა და სხვა გადამთიელთა მიერ შემოთესლილმა ანტიქართულმა და აპოლიტიკურმა ძალამ.

მას შემდეგ, რაც საქართველოდან გაგზავნილ გამყალბებლებს და მათ დამგეშავგამგზავნებს უკრაინაში კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, იხტიბარი არ გაიტეხეს და კვლავაც ცდილობდნენ ყოველი ძალის გამოყენებით შეეყოთ დინგი იქ, სადაც ამ დინგში ცოცხლს ტარს ურტყამდნენ. როცა მიხვდნენ, რომ მათ მიერ საქართველოში არაერთგზის **"წარმატებით"** გამოყენებული იშკილები არ გაუვიდოდათ, ნაცვლად იმისა, რომ ბოდიში მოეხადათ ყოვლად დასაძრახი და მიუღებელი პოლიტიკური ავანტიურიოს წამოწყებისათვის, ურცხვად განაცხადეს, რომ უკრაინელებმა ჩვენი **"კეთილშობილური"** განაზრახისა ვერაფერი გაიგეს და ამიტომ იქ დამკვირვებლებს საერთოდ აღარ გავაგზავნითო.

ვერაფერს იტყვი – **"სომხურ-მანქურთული"** პოლიტიკური საქციელის კლასიკურ ნიმუშთან გვაქვს საქმე!

მხოლოდ უთავმოყვარეო და მოძალადე ადამიანი შეიძლება შეეცადოს ფანჯრიდან შესვლას იმ შენობაში, რომლის კარებიდანაც კისრისტეხით გამოაგდეს.

ეს არ არის ქართველი და ქართული ბუნების მქონე ადამიანის საქციელი! ჩვენ კარგად ვიცით, რომელი ერის წარმომადგენელმა შეიძლება იკადროს ამგვარი უკადრისი რამ!

სინამდვილე კი მალე დაადგინეს ჟურნალისტებმა და შავით თეთრზე დაწერეს: **"სხვა ქვეყნებში ფერადი რევოლუციების მოწყობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, პარლამენტარი გივი თარგამაძე იმიტომ ჩავიდა გამყალბებელთა არმიით უკრაინაში, რომ სახელისუფლებო შავი ბიზნესი გადაერჩინაო"** (რასაც მოჰყვა სააკაშვილის არაფრისმთქმელი ვიზიტი ესტონეთში, რაც ახალი ხმების აგორების მიზეზი შეიქმნა: **"სააკაშვილს უნდა თავისი და საკუთარი გარემოცვის დანაშაულებრივი ბიზნესის უკრაინიდან ესტონეთში გადატანაო"**).

თუ გადავხედავთ საქართველოდან წარგზავნილ **"დამკვირვებელთა"** ხარისხობრინ მონაცემებს, არც ამ სტრიქონების სიმართლე იწვევს ეჭვს. ანკეტებში მათ უმეტესობას ეწერა: **"სამსახური – დროებით უმუშევარი, პროფესია – არ აქვთ (ბომჟები არიან?), საარჩევნო დამკვირვებლის გამოცდილება – არ გააჩნიათ!"** მაშ ვინ არიან ისინი? – კითხვას სვამდნენ თავისი ქვეყნის მძიმე მდგომარეობით შეჭირვებული უკრაინელები და თავადვე პასუხობდნენ – რა თქმა უნდა, სპეცდანიშნულების ბრიგადის წევრები!

განა იგივე არ დაადასტურა თავად მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც სატელეფონო საუბარში იულია ტიმოშენკოს აცნობა: რამდენიმე ათას მეომრული სულისკვეთების მქონე ბიჭს გიგზავნი არჩევნებში მხარდასაჭერადო...

როგორც იტყვიან, სომეხმა სააკაშვილმა უდანოდ გამოჭრა ყელი ასევე სომეხ იულია ტიმოშენკოს, რისთვისაც მას ალბათ პასუხისგება მოუწევს მის მფარველ ამერიკელ სომეხ მილიონერთა წინაშე, რომელთაც, ჯორჯ სოროსთან ერთად დიდი თანხების გაღება მოუწიათ ფერადი რევოლუციების განსამარჯვებლად...

დამკვირვებლები კი, საქართველოს მოძალადე ხელისუფლის განცხადების მიუხედავად, მაინც გაემგზავრნენ საქართველოდან (სულ 20 კაცამდე), მაგრამ არა არჩევნების გასაყალბებლად, არამედ იმ ამბავის ჩამოსატანად, თუ როგორ შეიძლება ჩატარდეს წესიერი არჩევნები, რაც უკვე დიდი ხანია საქართველოს სანატრელად აქვს ქცეული...

მაშ ასე, უკრაინამ თავისი არჩევანი გააკეთა... უკრაინის სასარგებლოდ!

"ნარინჯისფერი" რევოლუცია კრახით დასრულდა. ქართველ პოლიტიკოსთა განცხადებით ვიქტორ იანუკოვიჩის უკრაინის პრეზიდენტად არჩევა პრორუსული ძალების გამარჯვებად კი არა, უკრაინელი ხალხის თვალის ახელად და გამოფხიზლებად არის მიჩნეული. ეშინია სააკაშვილს და მის გარემოცვას იანუკოვიჩის გამარჯვებისა, რადგან, როგორც კი იანუკოვიჩი ოფიციალურად შეუდგება პრეზიდენტობას, დაიწყება სერიოზული გამოძიება იმ სამხედრო ტექნიკასთან დაკავშირებით, რომელიც იუშჩენკომ მიჰყიდა სააკაშვილს ცხინვალის ომის დროს. ეს კი ნიშნავს, რომ ციხის გზას გაუყენებენ არა მხოლოდ ვიქტორ იუშჩენკოს. პრესა იმასაც იუწყება, რომ უკრაინის ახალი ხელისუფლება აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობას არ აღიარებს, სამაგიეროდ, იმ ბიზნესებს, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებას ჰქონდა უკრაინაში, სერიოზული პრობლემები შეექმნება...

საქართველო კი კვლავ სიყალბისა და თვალთმაქცობის ჭაობშია ჩაფლული და არავინ იცის როდის გამოიფხიზლებს და დაიძახებს ქართველი ხალხი.

მალე ადგილობრივი ორგანოების არჩევნები გაიმართება და სახელისუფლებო გამყალბებლები ჯგროდ დაიძრებიან სამეგრელოსაკენ, საიდანაც ბლომად ხმების წამოღება შეიძლება. ამ მიზნით, თურმე, უგულავა ახლად მოყვანილ ცოლს რამდენიმე მეგრულ ფრაზას აზეპირებინებს, რომ შთაბეჭდილება მოახდინოს ამ კუთხეზე და ხმები წამოიღოს პრეზიდენტის სკამისათვის.

მეგრელებმა ერთხელ უკვე კუჭამდე **"გადავყლაპეთ"** ედუარდ შევარდნაძის მიერ ვერაგულად გადმოგდებული პოლიტიკური სატყუარა, როცა მიხეილ სააკაშვილმა თავისი მეუღლე, ქალბატონი სანდრა რულოვსი მეგრულად აამღერა, რითი აღტკინებული წალენჯიხელები ჯოგად დაიძრნენ თბილისისაკენ. იგივე მეთოდებით მიიწევს უგულავა საქართველოს პრეზიდენტობისაკენ და მეგრელებმა ამჯერად, მორიგი პოლიტიკური ანკესი არ უნდა გაყლაპოთ, თორემ დაუკვირვებლობა და ემოციებს აყოლა შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს სრულიად საქართველოს. ეჭვსგარეშეა, რომ, ამერიკული გათვლით, ვინც ახლა თბილისის მერი გახდება, საქართველოს მომავალი პრეზიდენტიც ის იქნება... ამიტომ არ უნდა დაუშვან შეცდომა არჩევნის გაკეთებისას საქართველოს კუთხეებმა, განსაკუთრებით კი სამეგრელომ, რომელიც ოდითგან ითვლებოდა და ითვლება საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხერხემლად...

მანამდე კი, დღე არ გავა, რომ სააკაშვილმა გამაოგნებელი განცხადებები არ გააკეთოს საქართველოს **"გასამხნევებლად"**, იქნება ეს ბათუმის მეგაპოლისად (ალბათ ეწ. **"მინიმეგაპოლისად"**, თორემ როგორ შეიძლება 300.000-ინი ქალაქი მეგაპოლისად იქცეს!) გადაქცევა, ანაკლიის დაბინძურებული პლაჟების **"გასაერთაშორისება"** თუ სვანეთის ზონის მსოფლიო მნიშვნელობის საკურორტო ზონად გარდაქმნა.

ქუჩის სლენგზე ამას **"დაბოლებას"** ეძახიან, ჰოდა სახეზე ნეტარღიმილგადაფენილი პრეზიდენტიც გვაბოლებს დღისით და გვაბოლებს დამით, ხან მთიდან დაგვცინის, ხან ბარიდან, ხან კიდევ დაუმთავრებელი შენობის სახურავზე გამართული სამთავრობო სხდომებიდან, და გასდის კიდეც, რადგან საკადრისი პასუხის გამცემი ჯერ არსად სჩანს.

ამ დროს კი, ოპოზიციის წარმომადგენლები გამაოგნებელ ბრალდებებს უყენებენ სიყალბისა და ფულის მოყვარულ (არც არის გასაკვირი, რადგან სააკაშვილის სომეხი თანამემულეები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ფულისადმი ფანატიკური სიყვარულით) საქართველოს პრეზიდენტს. აი, ლეიბორისტების მიერ ოფიციალურად გაკეთებული განცხადება: **"სააკაშვილმა ხელფასიდან კი არ გადაურიცხოს სკოლას ფული, ინდონეზიაში რომ გადაიტანა 7 ნოემბრის დღეებში მილიარდნახევარი დოლარი და თავის ძმა რომ გააგზავნა ჯაკარტაში, აი, ის მილიარდნახევარი დოლარი გადმოიტანოს უკან და გადარიცხოს განათლების სფეროში".**

თუ გავითვალისწინებთ, რომ ხელისუფლებამ წაუყრუა ამ ამაზრზენ ბრალდებას, ეჭვის შეტანა აღარ შეიძლება მის რეალობაში. მაგრამ, განა მხოლოდ ეს სიმახინჯეა დამახასიათებელი საქართველოს მოძალადე ხელისუფლებისათვის? გაიხსენთ მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევა, პოლიტიკური მოღვაწეების, მათ შორის პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას და ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის იდუმალებით მოსილი მკვლელობები, ქუჩებში ჩაცხრილული უდანაშაულო ახალგაზრდები, ზურა ვაზაგაშვილი, ბუტა რობაქიძე, ვალერი ფხაკაძე, გიორგი გამცემლიძე და სხვები, სანდრო გირგვლიანის მხეცური მკვლელობა, ციხეებში გამოკეტილი პოლიტიკური ოპონენტები, ისტორიული ძეგლების ვანდალურად აფეთქება, მოქალაქის უფლებების თავხედური უგულვებელყოფა, ნომენკლატურული კორუფციის არნახულად აყვავება...

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ!

და ჩვენ ვითმენთ ასეთ სამარცხვინო რეალობას!

დიდი ილიასი არ იყოს: **ფურთხის ღირსია ასეთი საქართველო, მაგრამ უპირველესად, ფურთხის ღირსები ის ვაიქართველები არიან, ვინც ამ ზომამდე მიიყვანეს საქართველო!**

ჰოდა, ჩემო ძვირფასებო, ნუ ხართ გულუბრყვილოები და ნუ გჯერათ იმ ადამიანის შეპირებებისა, რომელიც ტომრებით ეზიდება საქართველოდან ხალხისათვის ჯიბიდან ამოცლილ ფულს! ქართული მმართველი პოლიტიკური ელიტა ისეა ჩაბინძურებული და კორუფციაში ჩართული, რომ ამ ხელისუფლების თავიდან მოშორების შემდეგ წლები დასჭირდება ქვეყანაში ნორმალური პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების აღდგენას.

მხოლოდ ქართველი ხალხის პრინციპულობა და სიყალბისადმი შეურიგებლობა გადაარჩენს საქართველოს, ისევე, როგორც უკრაინელთა პრინციპულობამ და სიყალბისადმი შეურიგებლობამ გადაარჩინა უკრაინელი ერი!

თუმცა, ზოგიერთი რუსი ვაიპოლიტიკოსი უკვე უშვებს გამოუსწორებელ შეცდომას და ფრიად არაპოპულარულ პოლიტიკურ განცხადებას აკეთებს. ამგვარი როყიო გამონათქვამი ეკუთვნის რუს პოლიტიკოს სერგეი მარკოვს, რომელმაც არჩევნების დამთავრებისთანავე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უკრაინაში რუსული ენა იგივე უფლებებით უნდა სარგებლობდეს, როგორითაც უკრაინული სარგებლობსო. და ეს მოხდა მაშინ, როცა ანტიუკრაინული ძალები არ ურიგდებიან იანუკოვიჩის გამარჯვებას და მასობრივი არეულობების მოწყობით იმუქრებიან. სწორედ ასეთ შემთხვევაზე ამბობენ ხოლმე, სულელი მოყვარე ჭკვიან მტერზე ბევრად უარესიაო.

ისიც ფაქტია, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის სიტუაციის გამწვავება სწორედ ამგვარმა ორმხრივმა დაუფიქრებელმა განცხადებებმა განაპირობეს, რაც ერთნაირად უნდა აღკვეთონ როგორც ქართველმა, ასევე რუსმა პატრიოტებმა. სხვა შემთხვევაში, ხელი შეეშლება ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების დაახლოების პროცესს, რაც მხოლოდ ჩვენს მტრებს შეიძლება აძლევდეს ხელს!

მე ეჭვი არ მეპარება, რომ ამგვარ შევჩენკო-ზატულინ-მარკოვებსა და მიგრანიანებზე მეტად რუსეთის გულშემატკივრები ის ასაკმოძალებული ქართველები არიან, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში იარაღით ხელში იცავდნენ ფაშისტ დამპყრობლებთა შემოსევისაგან საბჭოთა კავშირის მიწა-წყალს და დღეს აკანკალებული ხელით ცდილობენ საარჩევნო ურნებში ბიულეტენების ჩაყრას.

ჩვენ კი, მომდევნო თაობები, ვალდებული ვართ პატივი ვცეთ მათ არჩევანს!

რ.შალამბერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო-ინგლისის ურთიერთობა 1918-1919 წლებში

ანტანტის წინაშე გერმანიის იმპერიის კაპიტულაციას **კომპიენის ტყეში** (1918 წლის ნოემბერი) წინ უძღოდა თურქეთის მიერ საომარი მოქმედებების შეწყვეტა მუდროსის ყურეში (1918 წლის ოქტომბერში). **კომპიენისა და მუდროსის საზავო ხელშეკრულებების ძალით გერმანიასა და თურქეთს უნდა დაეტოვებინათ ამიერკავკასია.** ამ პროცესზე კონტროლი ინგლისს უნდა განეხორციელებინა. **ჯერ კიდევ 1917 წლის 23 დეკემბერს ხელმოწერილი ინგლის-საფრანგეთის კონვენცია „რუსეთის საკითხში“ მოკავშირეთა პოლიტიკის კოორდინაციას ისახავდა მიზნად. კონვენცია საქართველოს ინგლისის მოქმედების ზონად აცხადებდა. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ, 1918 წლის 13 ნოემბერს, ხსენებული კონვენცია ხელმეორედ იქნა დამტკიცებული. ინგლისმა გერმანიისა და თურქეთის ჯარების ევაკუაციის პარალელურად საქართველოს ტერიტორიაზე თავისი ჯარების განლაგება დაიწყო.** ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას ხელმძღვანელობდნენ ამიერკავკასიაში ინგლისის მისიის მეთაური პოლკოვნიკი ჯორდანი და ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების მთავარსარდალი გენერალი ფორესტიე-უოკეი მრავალრიცხოვან დიპლომატებსა და სამხედროებთან ერთად. 1918 წლის 29 ნოემბერს ინგლისის სამხედრო ფლოტის გემები სოხუმში შევიდნენ, 29 ნოემბერს – ფოთში, 1 დეკემბერს – ბათუმში.

საქართველოს ინგლისის მოქმედების ზონად (ფაქტობრივად, საოკუპაციო ზონად) გამოცხადებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. იმთავითვე ცხადი გახდა, რომ ბათუმითა და, საერთოდ, მთელი აჭარით (ბათუმითა და ბათუმის ოლქით) ინგლისელები განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებულნი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არანაირი საშუალება არ გააჩნდა, წინ აღდგომოდა ომში გამარჯვებულ მოკავშირე სახელმწიფოებს (ანტანტას). 1918 წლის 24 დეკემბრის ნოტით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა თანხმობა განაცხადა ინგლისის ჯარების საქართველოში განლაგებაზე. ოფიციალური თანხმობის მიღებამდე, 1918 წლის 22 დეკემბერს, ბათუმში შემოვიდა ინგლისის 5 გემი 20-ათასიანი ჯარით.

25 დეკემბერს ინგლისელთა პირველი ბატალიონი თბილისშიც გამოჩნდა. ინგლისელებმა აჭარაში (ბათუმსა და ბათუმის ოლქში) საოკუპაციო რეჟიმი დაამყარეს. აქ მათ შექმნეს საგენერალგუბერნატორო, რომლის სათავეშიც ინგლისელი გენერალი კუკ-კოლისი ჩააყენეს. ფაქტობრივად, აჭარაში თურქი ოკუპანტები ინგლისელმა ოკუპანტებმა შეცვალეს. აჭარასა და ბათუმში ინგლისის ადმოსავლურ პოლიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. სწორედ ამიტომ 1918 წლის დეკემბრიდან 1920 წლის ივლისამდე აჭარაში ფაქტობრივად მთლიანად შეწყდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქცია.

ინგლისის ჯარების ყოფნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1918 წლის დეკემბრიდან 1919 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ფორმალურად რჩებოდა დამოუკიდებელ სუვერენულ ქვეყნად, **ინგლისელი პოლიტიკოსები და სამხედროები უხეშად ერეოდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში, ასევე – საქართველოს ურთიერთობაში მეზობელ ქვეყნებთან.**

1918 წლის დეკემბერში მიმდინარე საქართველო-სომხეთის ომში, სომხეთის არმიის სერიოზული მარცხის შემდეგ, საქართველოს მთავრობას შეეძლო, შემოერთებინა ძირძველი ქართული ტერიტორია – ლორეს რაიონი. სომხეთის მთავრობას წინააღმდეგობის გაწევის უნარი აღარ ჰქონდა, ხოლო სომხეთის არმიას აღარ ძალუძდა ქართველი ჯარის შეტევა შეეჩერებინა. საქართველო-სომხეთის ომის დასასრული დაემთხვა ინგლისის ჯარების შემოსვლას საქართველოში. **ინგლისელი დიპლომატები და სამხედროები შეეცადნენ, დაეცვათ ანგლოფილური სომხეთის ინტერესები. ამაში მათ დიდი დახმარება გაუწიეს ამიერკავკასიაში ინგლისის მისიის მიერ საქართველო-სომხეთის ურთიერთობის მოგვარების მიზნით სპეციალურად დანიშნულმა გენერალმა რაიკ-ფორდმა და ამიერკავკასიაში საფრანგეთის მისიის მეთაურმა პოლკოვნიკმა შარდინმ. მათ აიძულეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა საომარი მოქმედებანი სომხეთის წინააღმდეგ და დათანხმებულიყო მოლაპარაკებაზე. 1918 წლის 30 დეკემბერს ყარაქილისში საქართველოსა და სომხეთის მთავრობების წარმომადგენლებმა მოილაპარაკეს, რომ 31 დეკემბრის 24 საათისათვის შეეწყვიტათ საომარი მოქმედებანი.**

1919 წლის იანვარში ინგლისის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით გამართულ საქართველო-სომხეთის მოლაპარაკებაზე შეთანხმდნენ საქართველოსა და სომხეთს შორის ნეიტრალური ზონის საზღვრების შესახებ, ასევე, ბორჩალოს მაზრაში ქართული და სომხური გარნიზონების, ხოლო ახალქალაქის მაზრაში ქართული გარნიზონების რაოდენობისა და სამხედრო ტყვეების გაცვლის თაობაზე. შეთანხმების მიხედვით, ბორჩალოს ნეიტრალური ზონის მმართველობა უნდა გადასცემოდა მოკავშირე სახელმწიფოების (ანტანტის) კონტროლის ქვეშ მყოფ **„კოლეგიურ კომისარისტს“**, რომლის თითო წევრს საქართველოსა და სომხეთის მთავრობები ნიშნავდნენ. უთანხმოების შემთხვევაში საკითხი მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლობას უნდა გადაეწყვიტა. ინგლისის ანტიქართული პოლიტიკა მხოლოდ ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონად გამოცხადებაში არ გამოიხატა. მართალია, ახალქალაქში ქართული ადმინისტრაცია იქნა შენარჩუნებული, მაგრამ მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ახალქალაქის მაზრის ქართულ ადმინისტრაციაზე ზედამხედველობას ახორციელებდა მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენელი, რომელთანაც იმყოფებოდნენ ადგილობრივი სომეხი და მუსლიმანური მოსახლეობის რწმუნებულები. ამით, ფაქტობრივად, ახალქალაქის მაზრაც სადავო ტერიტორიად გამოცხადდა.

საქართველო-სომხეთის ურთიერთობის მოგვარებაში ინგლისის ანტიქართული პოლიტიკის წყალობით განპირობებულმა უარყოფითმა შედეგებმა შემდეგში დიდი პრობლემები შეუქმნა ქართველ დიპლომატებს პარიზის საზავო კონფერენციაზე, ერთა ლიგაში და საქართველო-საბჭოთა რუსეთის ურთიერთობაში.

1918 წლის დეკემბერში ძალზე დაიძაბა ურთიერთობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დენიკინის მოხალისეთა არმიას შორის. ამ პერიოდისათვის სოჭის ოლქი ქართულ ჯარსა და სახალხო გვარდიას ეკავა. დენიკინის მოხალისეთა არმია ემზადებოდა სოჭის ოლქის ოკუპაციისათვის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და დენიკინის მოხალისეთა არმიის სარდლობის ურთიერთობაში ინგლისელები ჩაერივნენ. 1918 წლის 29 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი და ამიერკავკასიაში ინგლისის მისიის მეთაური პოლკოვნიკი ჯორდანი შეთანხმდნენ, რომ სოჭის ოლქის ტერიტორია საერთოდ დაეტოვებინა ქართულ ჯარს.

საქართველომ პირობა შეასრულა, დენიკინმა კი – ქართული ჯარის მიერ დატოვებული ტერიტორიები დაიკავა. ამავე დროს ტუაფსეს რაიონში თავმოყრა იწყეს მოხალისეთა არმიის საჯარისო ნაწილებმა. 1919 წლის 6 თებერვალს მოხალისეთა არმიამ სოჭი დაიკავა და შემდეგ მთელი ოლქის ოკუპაცია მოახდინა. მის ხელში აღმოჩნდა გაგრაც. ქართული ჯარი და სახალხო გვარდია მდინარე ბზიფის მარცხენა ნაპირზე გამაგრდნენ.

ქართველი დიპლომატები სამი თვის მანძილზე ცდილობდნენ, ზეგავლენა მოეხდინათ ინგლისელებზე, რათა მათ მიეღოთ ზომები და აეძულებინათ მოხალისეთა არმია, დაეტოვებინა აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორია. ინგლისელთა პოლიტიკა უკვე აშკარად ანტიქართული ხდებოდა. ამიერკავკასიაში ინგლისის მისიის მეთაური და ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების მთავარსარდალი აშკარად ცრუ დაპირებებს აძლევდნენ ქართულ მხარეს.

მათ სიცრუეში დარწმუნებულმა საქართველოს მთავრობამ 1919 წლის 12 აპრილს მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყო, რაც მკაცრად დაგმო ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების მთავარსარდლობამ. **ინგლისელებმა ოფიციალურად გააფრთხილეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომ მის ჯარებს არ განეხორციელებინათ შეტევა გაგრის მიმართულებით. ინგლისელები ულტიმატუმის ფორმით ითხოვდნენ საქართველოსაგან 1919 წლის თებერვლისათვის არსებული მდგომარეობის დაცვას, ე.ი. იმ მდგომარეობისა, რომელიც შეიქმნა მოხალისეთა არმიის მიერ სოჭისა და გაგრის ოკუპაციის შემდეგ.**

1919 წლის 21 მაისს დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მოხალისეთა არმიის სარდლობას შორის. მოლაპარაკებაზე ქართული მხარე (ევგენი გეგეჭკორი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი) ინგლისის მთავრობისა და მოხალისეთა არმიის სარდლობის ერთობლივ წინააღმდეგობას წააწყდა. ქართული დიპლომატიის ბრძოლა მათი პოლიტიკის წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა (აქ კიდევ ერთხელ გამოვლინდა ინგლისის ანტიქართული პოლიტიკა).

1919 წლის 11 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას აცნობეს ინგლისის ხელისუფლების გადაწყვეტილება: **სადემარკაციო ხაზი საქართველოსა და მოხალისეთა არმიას შორის მდ. ბზიფზე გავიდოდა, ქართულ ჯარს კი მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირი უნდა დაეკავებინა; თავი შეეკავებინა მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ ყოველგვარი აგრესიული მოქმედებისაგან და დახმარებოდა მას ნავთობითა და სხვა რესურსებით მომარაგებაში. ასე შეუწყო ხელი ინგლისის მთავრობამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას.**

ინგლისის ანტიქართული პოლიტიკის აშკარა გამოვლინებებს ქართველი დიპლომატები მომავალშიც ბევრჯერ წააწყდნენ.

თემურ ქორიძე

რაში სჭირდებათ ბრიტანეთში ჰომოსექსუალები?

ლონდონის პოლიციამ გამოაცხადა, რომ სამეფო ოჯახის დაცვას **„სპეციალური“** სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები – ჰომოსექსუალები, ლესბოსელები და ტრანსსექსუალები ესაჭიროება. მათ სკოტლანდიარდის 1983 წელს ფორმირებული სპეციალური ქვედანაყოფი **„SO14“** აგროვებს. ამ განყოფილების 400-მდე ოფიცერი სამეფო ოჯახის 20-მდე წევრსა და მათ რეზიდენციებს იცავს. ახლა **„SO14“**-ში 30 ვაკანსიაა. პრეტენდენტებს თანამდებობის, ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად ანაზღაურების სახით 29 500-დან 41 200-მდე ფუნტი სტერლინგი მიეცემათ. ახალბედები სამეფოს სამ რეზიდენციაში – ბუკინგემის სასახლეში, უინძორის ციხესიმაგრესა და შოტლანდიაში მდებარე ბალმორალის ციხესიმაგრეში იმსახურებენ.

აღნიშნული ვაკანსიის კომენტირებისას სკოტლანდ-იარდის წარმომადგენელმა ბრძანა, რომ მათი უწყების ზოგიერთ ქვეგანყოფილებაში სათანადოდ არ არიან წარმოდგენილნი სოციალური უმცირესობები და ამ მდგომარეობის გამოსწორება სურთ.

რატომ არ უნდა წახვიდე სამსახურში შიშველი?

ავსტრალიელი პოლიციელების ხუთეულს დროებით შეუჩერდათ სამსახურებრივი უფლებამოსილება იმის გამო, რომ ქუჩაში შიშვლები დარბოდნენ. ყველაფერი ერთი აბეზარი ქალის ბრალია, დაინახა სპეციალური სამძებრო-სამაშველო სამსახურის ქუჩაში შიშვლად მორბენალი თანამშრომლები და მაშინვე პოლიციას აცნობა, ავტობუსი შუქნიშანზე რომ გაჩერდა, დავინახე, როგორ ჩაგვირბინეს გვერდით შიშველმა კაცებმაო.

როგორც გაირკვა, ამ გადარბენის მონაწილეები ავსტრალიის პოლიციელები გახლდნენ და მათი საქმით ეთიკური ნორმების დარღვევათა შემსწავლელი სპეციალური კომისია დაკავდა. ოპერატიულ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება დროებით მათ უკვე ჩამოერთვათ. ექსტრემისტი პოლიციელების კოლეგებმა ბოლო დრომდე ვერ გაარკვიეს, ვინ ან რამ აიძულა ხუთი მამაკაცი ქუჩაში შიშვლებს ერბინათ, წინასწარი მონაცემებით, ეს ერთ-ერთი ოფიცრის დაქორწინების წინ გამართული წვეულების სცენარის ნაწილი იყო.

ვინ ქირაობს მეგობრებს?

იაპონიაში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება სააგენტოები, რომლებიც ყალბ მეგობრებსა და ნათესავებს აქირავებენ. იმ ფირმების რაოდენობა, რომლის თანამშრომლებიც კლიენტის უახლოესი ადამიანებისა და ნათესავების როლებს ასრულებენ, უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში გაორმაგდა. ამჟამად იაპონიაში 10 ასეთი ფირმაა და მათგან უმსხვილესში 1000-მდე ადამიანი მუშაობს. მეგობრების გაქირავების პირველი სააგენტო იაპონიაში 9 წლის წინათ გაიხსნა. მისი და შემდგომში გახსნილი მსგავსი სამსახურების თანამშრომლები კლიენტებთან ქორწილებზე, პანაშვიდებზე, ბავშვების დაბადების დღეებზე ან სხვა ღირსშესანიშნავ დღეებში მიდიან და დანარჩენ სტუმრებს მასპინძლის მეგობრებად ეცნობიან. ამგვარად, მათი კლიენტები თავიანთ ნაცნობებსა თუ კოლეგებს საკუთარ მარტოსულობას უმალავენ. გარდა ამისა, ფირმიდან შესაძლებელია ბავშვის მამის ან ბიძის გამოძახება, რომელიც მის მასწავლებლებს დაელაპარაკება. უმუშევარ იაპონელს უპრობლემოდ შეუძლია, სახლში დაპატიჟოს თავისი სუროგატი უფროსი ან სულაც მეგობრებთან წვეულებაზე ლამაზი ქალის თანხლებით წავიდეს და ის ყველას თავის საცოლედ წარუდგინოს.

დაბადების დღეზე რომ სააგენტოდან **„მეგობარი“** ეწვიოს, ამისათვის იაპონელს დაახლოებით 160 დოლარის გადახდა დასჭირდება, ნებისმიერი დამატებითი დავალება ამ საფასურს, ცხადია, ზრდის. დავალებაზე წასვლამდე თანამშრომლები სააგენტოში სერიოზულ მომზადებას გადიან, რასაკვირველია, კლიენტის დახმარებით. კლიენტების რაოდენობას კი სააგენტოები არც არასდროს უჩიოდნენ და დღითიდღე მზარდ მოთხოვნილებას უკვე ვეღარც აუდიან.

ემილ ლევიესა და სტეფან სომიეს მოგზაურობა სვანეთში

1890 წლის 15 (29 ივნისს) ბათუმის ნავსადგურს მოადგა გემი ფლორენციიდან. მგზავრებს შორის იყო ორი ცნობილი იტალიელი მეცნიერი– ბოტანიკოსი ემილ ლევიე და ანთროპოლოგი სტეფან სომიე.

მოგზაურებმა შემოიარაეს აჭარა, იყვნენ ქუთაისში, იმოგზაურეს სვანეთში და აქედან გაემგზავრნენ აფხაზეთში.

მეტად მნიშვნელოვანია ემილ ლევიეს მოგზაურობის ჩანაწერები, რომლებსაც დღიურის სახე აქვს. დღიურებს იგი საქართველოდან ფლორენციაში თავის მეუღლეს უგზავნიდა.

1890 წლის ბოლოს ლევიემ ამ წერილების ბეჭდვა ჟურნალ "უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში" დაიწყო, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში გამოდიოდა. წერილებმა მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ემილ ლევიე არც კი მოიხსენიება სამეცნიერო ლიტერატურაში, არადა, მისი ჩანაწერები მეტად ძვირფასია როგორც საქართველოს ფლორის შესწავლისათვის, ასევე ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც. გასული საუკუნის სვანეთის შესახებ კი სხვა მსგავსი ცნობები ჩვენ არ მოგვეპოვება.

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ მასალებს მხოლოდ სვანეთის შესახებ, რადგან მთლიანობაში იგი საკმაოდ დიდია და გაზეთის ნომრებში მისი მთლიანად წარმოჩენა შეუძლებელი გახლავთ.

სტუმრებმა ქუთაისიდან გეზი ცაგერისაკენ აიღეს. ბევრი მცენარეულობა დაკრიფეს ლაჯანურის ხეობაში და ურმით განაგრძეს გზა სვანეთისაკენ. ცაგერში მოგზაურთა გამცილებელი ბ. ბაქრაძე თარჯიმანმა იოსებ ასათიანმა შეცვალა. თან გაიყოლეს ოთხი სვანი. მურის ხეობის შემდეგ **დაიწყო "ნამდვილი სამეფო იშვიათი ბალახმცენარეებისა. გზაზე მუშა სვანების ჯგუფს დავეწიეთ. ისინი სიმღერით მიემგზავრებოდნენ. ხანდახან ხმას შეუწყობდნენ ერთმანეთს და ჰარმონიაც სასიამოვნო ისმოდა"**,– აღნიშნავდა ლევიე.

ლენტეხში სტუმრები ბუნების სილამაზემ ისე გაიტაცა, რომ დამის ათ საათამდის სახლში არ შესულან.

იტალიელ მოგზაურებს აქ შეხვდათ ვიღაც ინგლისელი ალპინისტი. **"ის ახლო მომავალში აპირებს იმ მთებზე ასვლას, რომელნიც ცნობილია, როგორც მიუვალი".**

ლევიე აღფრთოვანებულია სვანების სხელებით. იგი მეუღლეს წერს: **"სახელები თუ საინტერესოა შენთვის, აი, მაგალითად რამდენიმე: ჯერ ორი ქალი: ინისა გავასტიანი, 16 წლის, ლამაზი, შავგვრემანი, მშვენიერი, შემდეგ კაცები: ბექირბეი გარდაფხაძე, 23 წლის, ვეებერთელა ტანისა არის. 202 სანტიმეტრის სიმაღლე აქვს, ხმელია, თვალჭრელი და წვერულვაში ქერა აქვს! აი, სახელი ტკბილი და მომხიბლველი. აბა რომელ კალენდარში მოინახება ამისთანა წმინდანის სახელი?!. – იაზონ ახვლედიანი, 15 წლის, უწვერულვაშო, თვალები ჭრელი აქვს და ღრმად ჩამჯდარი. მაშ კიდევ ყოფილან იაზონები!"**

სტუმრები სვანეთში ცხენებით მოგზაურობდნენ. მაღალმხატვრულად აღწერს აქაურ ცხენს ემილ ლევიე: **"რა საკვირველი ცხოველია კავკასიის ცხენი! თვალადი მაინც და მაინც არ არის, მაგრამ სიმაგრე კი ჯიხვისა აქვს და თვინიერება ცხვრისა. მართლაც დიდად გაწვრთნილი და თვინიერი უნდა იყოს ცხოველი, რომ ამნაირ ფრიალო კლდეებზე ატაროს და ზიდოს კაცი! – გზა – რის გზა! – ბილიკი? – რის ბილიკი! მიხვალ ღვთის ანაბარად ბუნებისაგან აკიბულ გზაზე იმ სიმაღლეზე, რომ ხანდისხან თავბრუ გესხმის. ცხენს სადავე არ ეჭირვება; იგი თვით არჩევს გზას და მიუხვ-მოუხვევს საკვირველი მიმხვედრობით. თქვენ უნდა ნახოთ მაშინ, როცა ამისთანა გზა ტყიან ადგილს შეჰყვება. ათასი შტო თხილისა, თხმელისა და რცხილისა გადმოდის ვიწრო გზაზე. ცხენი ქვეშა რჩება. მხედარი შტოებს ეძლევა; შეუძლებელია ან მარცხნით მოახვევინოთ, ან მარჯვნივ, რადგან ბილიკი, თუკი არსებობს, ხელის სიფართეა. შტოები უწყალოდ გცემენ ცხვირ-პირში, წაგიჭერენ კისერში, ცხვირიდან სათვალეებს გტაცებენ, ჯიბიდან ცხვირსახოვს ამოგაცლიან. აბჟანდებზე ფეხებს მოიმაგრებ როგორმე და რაც ძალი და ღონე გაქვს დაიწყებ ხელებით მოქმედებას; ზოგიერთ შტოს, თუ მოერიე, მოამტვრევ, ზოგს გვერდზე მისწევ და თავს ზემოთ აიცილებ; ტანში რომ ათასნაირად იგრიხები; ხან მარჯვნივ გადაიხრები, ხან მარცხნით, ხან სრულიად მუცლით დააწვები ცხენს. ერთი სიტყვით, ცხენდაცხენ სწავლობ ცურვას; სად უნდა შეგხვდეს მსგავსი რამ ევროპაში? ამას დაუმატეთ კიდევ ტანში დანჯღრევა და წინა უკანა კოტებზე შეჯახება.**

სამაგიეროდ, რა სურათს ხედავ მცენარეულობისას; რა სიამოვნებას გრძნობ, როცა შეჩერდები და მიიხედ-მოიხედავ".

ლევიე თავის სტიქიაშია, როდესაც პროფესიონალურად აღწერს ბუნებას, მცენარეულობას: **"ეს ტურფა მცენარეულობა თავის-თავად ვერ გამოჩნდებოდა აქ, თუ რომ პირვანდელი მიზეზი, საბაბი რომ არ ჰქონოდათ. ეს საბაბი გახლავს ნიადაგის სიმდიდრე – ნოყიერება, რომლისთვინაც თვით ბუნებას უზრუნია და მიუცია გამოულეველი სასუქი, პატივი. ამნაირი დაპატივება მიწისა მუდამ დღე ხდება კავკასიის ტყეებში: ცოცხალი, ჯერ კიდევ ფეხზე მდგომ, ტყის ქვეშ დამარხულია ათასი და ათი ათასი წლის მოდგმის ტყე. თვალითა ხედავ და ფეხქვეშ გრძნობ, როცა მოდიხარ ამნაირ ტყეში, ვეებერთელა წაქცეული ხის ნაფლეთებს; იგი ნელ-ნელა ლპება, მიწად იქცევა და აღმოაჩენს აღურიცხველ მცენარეულობას: გვიმრას, ხავსს, სოკოებს და სხვა. რაც ტყეში ხდება, იგივე ხდება იალაღებზე – მთების შიშვლებზე. აქაც აუარებელია და დიდებული კრება ახმახი მცენარეებისა, იშვიათად გათქერილი საქონლის ფეხქვეშ, ყოველწლივ ზამთრის პირად ჩაწვება ხოლმე და აპოხიერებს ნიადაგს.**

მაგრამ რაც უნდა ნოყიერი იყოს ნიადაგი, მარტო ის თავისთავად ვერ შესძლებს გააბუმბერაზოს წვრილმანი მცენარეულობა, როგორიცაა მაგალითებრ: სოსანი, ყაყაჩო, შროშანა – იმ ზომამდე, რომ მათ ადვილად დაჰფარონ ცხენოსანი კაცი. ეს მათ მოსდგამთ შთამომავლობით და ეს შთამომავლობა იკარგება საუკუნეთა წყვდიადში. ჩვენ აქ ვხედავთ ძველი დროის ბუმბერაზი მცენარეულობის ნაშთებს, რომელიც შერჩენილია აქ, კავკასიაში კარგი ნიადაგის და ჰაერის წყალობით"...

ამის შემდეგ ლევიეს აღფრთოვანებას მთები იწვევს: **"ჩვენ წინ მარცხნივ კლდოვანი მთის წვერია აშვერილი, სანახევროდ თოვლით დაფარული; მარჯვნივ მთის ვანი მთის წვერია აშვერილი, სანახევროდ თოვლით დაფარული; მარჯვნივ მთის გრძელი, მწვანით მოსილი ზურგია, რომლის უმაღლეს მწვერვალს უნდა მოვევლოთ თავზე. ნაძვნარის უკანასკნელი წვეტები თანდათან იკარგებიან ჩვენს უკან და ლაჰილას მთა წინ გვეშლება: ერთი ნაწილი მისი თოვლიანი ზურგისა ღრუბლებით არის მოცული. დანარჩენი ნაწილი მისი ერთი-მეორეზე მიმყოლი წვეტებით და მისი გადასავალი ყელებით, რომელზედაც მოფენილია ამწვანებული მინდვრები, გვიფარავს ჰორიზონტს ჩრდილოეთისაკენ. ერთი რამ საგანი გვიშტერებს თვალებს. ეს არის ალმასებრ გაბრწყინებული პირამიდა, რომელიც ლაჰილას უკან აღმართულია, იგი ცის ლაჟვარდზე გამოკვეთილია და რაც უფრო ზევით ავდივართ, მით უფრო იზრდება და მატულობს. ვაშა! ეს გახლავთ ერთი ნაჭერი დიდი კავკასიისა, რომელსაც პირველად ვხედავთ ასე ახლო.**

ეს მყინვარი გამოდგა თეთნულდი – უმაღლესი მწვერვალი კავკასიის ქედისა".

სტუმრებმა გაიარეს ლატფარის ყელი. ღამე გაათიეს მწვერვალზე. **"ასი წელიწადიც რომ ვიცხოვროთ, თავის დღეში არ დაგვავიწყდება ის პირველი დიდი კავკასიური ღამე, რომელიც გავატარეთ 2.000 მეტრის სიმაღლეზედ".**

სანახაობამ მოაჯადოვა ლევიე: **"ჯერ ისევ დატყვევებული ვარ იმ დიდებული სანახაობით, რომელიც დღეს დილით ვიხილეთ კავკასიის ქედზე, რომ ვცდილობ და ვერ წამირთმევია თავი ამ მშვენიერი სურათისათვის და ამიტომ მეძნელება წერილის გაგრძელება"**,– წერს იგი მთიდან ჩამოსვლისას.

მოგზაურები იყვნენ კალაში, იფარში. იქ ნახეს ეკლესია. ლევიე პირველია, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიჩინა საკლესიო კედლის მხატვრობით. **"გარეთა კედელზე, სოფლის პირდაპირ, გამოსახულია წმინდანების სახეები. ფერი სიძველისაგან გახუნებია, ზოგიერთ წმინდანს შარავანდედიც დაუკარგავს, თუმცა, ეს ნახატები იმ დროისა უნდა იყოს, როცა ბავშვობის ხანაში იდგა მხატვრობის ხელოვნება. მე ამოვიღე ჩემი უბის წიგნი და გადმოვხატე ქაღალდზე ორი, უფრო განსხვავებული მხატვრობის თავი. ის რაფაელი, რომელმაც ეს თავები დახატა, არაფრით ჩამოუვარდება ჩვენს ბიზანტიელ მთხუპნელებს, რომელთა ნაწარმოებნი, ათასჯერ გადაღებული და უშნოდ შეთხუპნული გამოფენილია ხოლმე ფლორენციის მაღაზიებში და იყიდება ვითარცა ძველი ხელოვნების ნივთები. ვინ იყო ეს რაფაელი?.. აი, ბატონებო, მშვენიერი საგანი ჩხრეკა-ძიებისათვის".**

ეს რაფაელი, როგორც ვიცით, იყო დავით აღმაშენებლის კარის მხატვარი თევდორე, რომელსაც ეკუთვნის იფრარის მთავარანგელოზთა **("თარინგზელ")** დარბაზული ეკლესიის მხატვრობა (1096 წელი).

სტეფან სომიე გაოცებულია, როდესაც ხალდეში შეხვედრია მოხუცი სვანი, რომელიც ფლობდა რუსულ ენას. გამოირკვა, მას ციმბირში ესწავლა.

სომიეზე მეტად ლევიე გაოცდა, როდესაც ბეჩოში ფრანგულად მოპალარაკე ახალგაზრდა სვანი გაიცნო. **"აი, სასწაულიო!"** – აღნიშნავდა იგი. ამ უკანასკნელს ფრანგული ყვირილაში ესწავლა შავი ქვის ერთ ფრანგ მრეწველთან.

საინტერესო ცნობას გვაწვდის ემილ ლევიე. მან ბეჩოში გაიცნო გაბრიელ ნიჟარაძე, რომელსაც სვანეთში დაუარსებია პირველი დაწყებითი სკოლა. **"იმედია, –** წერს სტუმარი,– **რომ სვანეთის მომავალი მემატიანე არ დაივიწყებს ამ კეთილ საქმეს და ოქროს ასოებით აღნიშნავს 1891 წელს, როგორც პირველ წელიწადს განათლების შემოღებისას სვანეთში"** (უნდა იყოს 1890 წელს და არა 1891 წელს – ს.ნ.).

ემილ ლევიეს ჩანაწერებიდან სჩანს, რომ მოგზაურებს გადაუღიათ ბუნებისა და ტიპაჟების ფოტოები. აი, რას წერს ის თავის მეუღლეს: **"ყოველ მაღლობზე, ყოველი გზის მოსახვევში, სვანეთი ახალ-ახალ სურათს წარმოგიდგენთ, ამის გამო, ათჯერ მაინც მოიწადინებთ საათში ფოტოგრაფის აპარატის ამოღებას პანორამების გადასაღებად. ამ საქმეში ჩვენი დიდი მეტოქეა ბატონი სელა, და თქვენ რომ გინახავთ ფლორენციაში ის დიდი სურათები, რომელიც ბატონმა სელამ შეუდარებელი ხელოვნებით და გემოვნებით დახატა".**

როგორც ვიცით, იტალიელი მოგზაურის, მთასვლელის ვიტორიო სელას საინტერესო ფოტომასალები მოიძია და ქართულ საზოგადოებას გააცნო რეზო თაბუკაშვილმა.

სტუმრები იყვნენ მესტიაში, ლატალში. ლევიეს ხაზგასმული აქვს კიდევ ერთი ფაქტი: **"ჩვენი მგზავრობის დროს არ შემინიშნავს არა თუ მთვრალი სვანი, არამედ ზარხოშიც კი".**

იტალიელები ბეჩოს ქედზე ავიდნენ და იხილეს უშბას მწვერვალი მთელი თავისი სილამაზით.

ლევიეს აღფრთოვანება კულმინაციას აღწევს: **"ქუდი მოიხადეთ და თაყვანი ეცით მის უდიდებულესობას ბატონ უშბას, რომელიც ეხლა გამოგვეცხადა მთელის თავისის დიდებულებით!.. მისი უდიდებულესობა ყოველ დღე როდი ეჩვენება მნახველს, პირბადეს აიხდის მხოლოდ რჩეულთათვის და ისიც მაშინ, როდესაც სურს თავი მოაწონოს, დანარჩენ დროს პირქუშობს, სქელ ღრუბლებს იხვევს, განსაკუთრებით მაშინ, როცა წვიმს".**

სტუმრებს ბეჩოში გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს. ბევრი რამ გაუგია ლევიეს სუფრაზე. თავისუფალ სვანეთში 15.000 სული ითვლებაო. ყოველ წლივ აქედან გაჰყავთ 8 ათასი ჯარისკაცი და სხვა. სტუმარი დასძენს: **"აწი წლიდან წლამდე იმატებს ჯარში გასაწვევთა რიცხვი, რაკი რუსობა ფეხს აქ გაიდგამს და სა-**



ფუძვლიანად გამაგრდება სვანეთში"-ო.

ემილ ლევიეს ბოლო წერილი დათარიღებულია 15 აგვისტოს რიცხვით. წერილიდან ჩანს, რომ ისინი ათკაციანი ჯგუფით და სურსათ-სანოვაგით უხვად დატვირთულები გზას აგრძელებენ აფხაზეთისაკენ.

აი, ეს ბოლო წერილიც: **"6 საათზე მოგვართვეს ჩაი და ლიმონი, რომელმაც მომაგონა იტალია და ლემანი, სადაც თქვენ მეგულვებით ჯერ კიდევ სამი კვირით მაინც... ფიქრი ნუ გაქვთ, ჩვენ ვართ ათი კაცი. ბუბასთანა ღონიერი მეორე არ მოიძებნება მთელ სვანეთში. თან გვახლავს შვიდი ოთხფეხა სულდგმული და იმდენი სურსათი მიგვაქვს, რომ მთელ სახარის უდაბნოს გადაგვატარებს. აი, კიდევ მეორე სანუგეშო ამბავი: თურმე ჩვენი მცვეელი იზმაილი ხაბაზიც ყოფილა. აბხაზეთის მივარდნილ ადგილებში იგი მოგვცემს პურსა ჩვენი არსებობისაი. მაშ ასე, მარადის თქვენი ემილ ლევიე"...**

ასეთია მცირე ექსკურსი ემილ ლევიესა და სტეფან სომიესი სვანეთში მათი მოგზაურობის შესახებ.

მოგზაურებმა საქართველოში დაჰყვეს ორი თვე.

სულიკო ნუცუბიძე

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.

ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

კორნელი ბოროზდინი

სხვათა შორის, უფრო და უფრო ხშირათ შემოდიოდა საქმეები მთავრის მამულების შესახებ; დ. ყიფიანმა ამ მამულების მოურავად დანიშნა დედოფლის ყოფილი მდივანი, თავადი ერეკლე ლორთქიფანიძე, და იმანაც, როგორც ნამდვილმა კანცელარიის მწერალმა, ჩვენთან გამართა სრულებით უსაფუძვლო მიწერ-მოწერა და გვთხოვდა დახმარებას. ჩვენის აზრით, მთავარი თავის მამულებში იმნაირივე მემამულე იყო, როგორც ყველა სხვა მემამულენი, და როგორც ამ მემამულეთ, ამასაც იმდენათვე ჰქონდა უფლება ჩვენის დახმარებისა; მაგრამ ჩვენ მაშინ-და უნდა დავხმარებოდით, თუ გლეხი თავის მოვალეობას არ ასრულებდა მემამულეთა მიმართ და ან და როცა მემამულე გლეხს იმაზე მეტს მოსთხოვდა, რაც გლეხს ემართა; ყოველსავე შემთხვევაში დახმარების აღმოჩენამდე უნდა საქმე გამოგვეძიებინა, რომელთაც, მისის აზრით შემოწმება არა სჭიროდა და , რა თქმა უნდა, რაკი ჩვენგან პასუხი არ მისდიოდა, ძალიან გული მოსდიოდა. არ უნდოდა თავი გაეყადრებინა უბრალო მთხოვნელისათვის და ისე ეთხოვნა ჩვენთვის რამე. სახლთუხუცესი და მისი თანაშემწეებიც არა გვთვლიდენ ღირსად ჩვენთან მოსულიყვნენ, ტფილისში მზრუნველთან გვიჩივოდენ და მზრუნველს კიდევ გენერალ კოლუბიაკინთან გაამართვინეს მიწერ-მოწერა. კოლუბიაკინმა გამოიძია ჩვენი მოქმედება და რაკი დაინახა, სამართლიანად ვიქცეოდით, ამნაირადვე უპასუხა ყიფიანს. მერე სახლთუხუცესის მნახველნი ამბობდენ–ტფილისიდან თვით მამულების მზრუნველს, ყიფიანს, ჩამოელის ზუგდიდში სახლთუხუცესიო.

საშობაოთ მე და ჩემი მეუღლე ზუგდიდში წავედით და ცოლ-ქმარი კოლუბიაკინები ისე დაგვიხდენ, როგორც თავიანთ მკვიდრთ და ნათესავებს; მათს სახლში ჩვენთვის ორი თავისუფალი ოთახიც აღმოჩნდა; ახალი წელიწადი ერთად, ერთ ოჯახად, გავითენეთ და მეტად მხიარულადაც გავატარეთ. აქვე სტუმრად ჩამოვიდა გურული თავადი, დათა ერისთავი, ცოლიანად, თან ჩამოიყვანა თავისი მემუსიკეები, ასე რომ საკრავები საცეკვაოდ არ გვაკლდა; კავალრები და ქალები, ბატალიონში მოსამსახურეთა ცოლები ბარემ ოცამდე მოგროვდა; გაჩაღდა ნამდვილი ბალები. ვისაც უმსახურნია ისეთს მივარდნილს კუთხეებში, როგორიც ჩვენი სამეგრელო იყო, მიხვდება, თუ რამდენად სასიამოვნოა ხოლმე ასეთი სახელდახელო გართობა, რომლისათვისაც საჭირო არ არის ხოლმე ძვირფასი ტუალეტები და სადაც სტუმარი შევიწროებული არ არის დიასახლისის მეტიჩრული და უაზრო ეტიკეტით. კოლუბიაკინის მეუღლემ მარიამ ვასილის-ასულმა აქ გამოიჩინა მთელი თავისი მოხერხება და ცოდნა–გაემხიარულებინა თავმდაბალ მუშაკთა წრე. აბა მას როგორ შეედრებოდა ამ მხრივ ისეთი ქალბატონი, რომელიც კუშეტზე წამოწოლილია მხართეძოზე და თავის სახლში თუთუნის მოწევის ნებასაც-კი არ აძლევს ხოლმე სტუმრებს! .და ეს სწორეთ კავკასიაში გახლდათ ასე, დიახ!

თებერვალსა თუ მარტში დ. ყიფიანი სამეგრელოში მოვიდა. რამდენჯერმე იყო გენერალ მ. კოლუბიაკინთან, ბევრი ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ერთი პროგრამა შეედგინათ მოქმედებისა და ისე ეწარმოებინათ სამთავრო მამულების საქმენი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მორიგდენ. გენერალი იმას ამბობდა, რომ კანონის წინაშე მთავრის მამულები კერძო მესაკუთრის მამულებად უნდა ჩაითვალოს და, მაშასადამე, ეს მამულებიც იმავე კანონს უნდა ექვემდებარებოდეს, რა კანონსაც კერძო მესაკუთრეთა მამულები ექვემდებარებაო. დ. ყიფიანი კი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მთავრობამ ისე უნდა მოუაროს მთავრის მამულს, როგორც სახაზინო მამულსაო. ამ შინაურულ მოლაპარაკების დროს გენერალი ხშირად ცხარობდა და არჩია დ. ყიფიანთან ამ საქმის შესახებ მხოლოდ მიწერ–მოწერა ჰქონოდა და ისიც ოფიციალურის ხასიათისა.

მაისში ფოთი ქალაქად იყო გამოცხადებული და უნდა ეკურთხებინათ. ამ შემთხვევისა გამო ორპირში მოიყარა თავი მთელმა უფროსობამ. აქ იყვნენ: გენერალ-გუბერნატორი, ქუთაისის გუბერნატორი, სამეგრელოს მმართველი, რამდენიმე მაზრისა და ოლქის უფროსები, სამი ეპისკოპოსი– ქუთათელი, ჭყონდიდელი და ჯუმათელი (გურიისა). ამ კომპანიაში რამდენიმე ქალიც ერია. ყველანი ჩასხდენ ფოთში წასასვლელად ორთქმავალ გემზე **„აკკერმანზე”,** რომელმაც იმ ცოტა ხნის წინ ორპირსა და ფოთს შუა დაიწყო სიარული მდ. რიონზე.

ორპირიდან ფოთამდე ექვს საათს მივდიოდით. ფოთში, ნავთსადგურის უფროსი, 1-ის რანგის კაპიტანი, კიტაევი, ინჟინერი ლიალინი და სხვ. ფოთის უფროსობა გენერალ-გუბერნატორს ნაპირას დახვდენ და რაპორტები მიართვეს; გენერალ-გუბერნატორი მისთვის მომზადებულს სახლში წაიყვანეს, ხოლო სხვებმა ცალკე კომპანია შევადგინეთ. ჩვენ გვერია თავადი ივანე დავითის-ძე ორბელიანი, მთავარმართებლის ადიუტანტი, ქეიფის მოყვარე კაცი; ამას თან მოჰყავდა ზურნა, და ამ ზურნით წავედით ქალაქ ფოთის დასათვალიერებლად. ზურნის ხმა პირველად მოეფინა ფოთს და ჩვენც, საკმაოდ შედვინიანების შემდეგ, საამოდ გვეწვეთებოდა ყურში ეს ხმა.

მეორე დღეს სამმავე ეპისკოპოსმა კრებულითურთ პარაკლისი გადაიხადეს ნავთსადგურზე და ახლანდელი ქალაქი აკურთხეს; მერე წაკითხულ იქმნა უმაღლესი ბრძანება. გენერალ-გუბერნატორმა სიტყვა უთხრა ადგილობრივს უფროსობას, ქალაქის მშენებლებსა და მცხოვრებთა; გენერალ-გუბერნატორის შემდეგ ნავთსადგურის უფროსმა ეგორ კიტაევმა წარმოსთქვა სიტყვა. ცოტა კარგად ვერა სთქვა და კინაღამ ყველას სიცილი წასქდა. ამას მოჰყვა ზარბაზნების დაცლა. ბოლოს, იქვე ნავთსადგურზე გამართულ იქმნა სადილი. ერთი ნახევარი საზოგადობისა ნაპირას იჯდა, დიდ ფარდულს ქვეშ. ამათში ერივნენ უფროსი მოხელენი და ქალები, ხოლო უმცროსი მოხელენი და ივ. ორბელიანი ზურნით. მეორე დღეს დილაზე უკანვე დავბრუნდით და ორპირში ადრე მივედით.

დადგა ზაფხული, მოახლოვდა ივლისი. ამ თვეში, საშინელი ცივება იცოდა სენაკში. წინა წლებსავით ავად არ გავხდემეთქი, და გადავწყვიტე ენკენისთვემდე მთელის ჩემის სამმართველოთი სადმე მთებში გადავბარგებულიყავი. მთავრის საზაფხულო საცხოვრებელ ადგილს გორდს ამ მხარეში არცერთი ადგილი სჯობდა; თან ვიცოდი, რომ იქ დარჩენილი ცარიელი სახლები მოუვლელობით ლპებოდა. ამიტომ დ. ყიფიანს მივწერე, ნება მოგვეცით ამ სახლებში დავდგეთ და რაც ეღირება, მოგართმევთ-მეთქი. ამის პასუხად აი რა მომწერა ყიფიანმა:

„მოწყალეო ხელმწიფევ, კორნილი ალექსანდრეს ძევ,

„ისე არ უნდა გიცნობდეთ, როგორც მე თქვენ გიცნობთ და ის ეარ უნდა გცემდეთ პატივსა, როგორც მე თქვენ პატივსა გცემთ, რომ, გარდა სამსახურისა გამო მოუცლელობისა, სხვას რასმე მივაწეროთ ისა, რომ ჩვენ ჯერ ერთმანეთს არ შევხვედრივართ, და ან არ აგისრულოთ ის მცირე თხოვნა, რომლითაც თქვენ მომმართეთ. მართლა, ერთი ბეწოც არ უნდა მქონდეს სხვისის პატივისცემის გრძნობა, რომ ამ შემთხვევაში გაგაცუდოთ. მაგრამ რადგან ცოტა რამე გამეგება და მგონია, რომ სხვისი პატივიცემა ვიცი, დიდის სიამოვნებით დაგითმობდით გორდში სასახლეს, მაგრამ მე თვითონა ვდგევარ შიგა და ,რომ შეგაძლიოთ, თქვენ თვითონ არ იზამთ და არ დადგებით; იმას გარდა ხუთი თუ ექვსი სახლია, რომელიც გნებავთ, აირჩიეთ, თუ გნებავთ, ყველაში დადექით, მხოლოდ შემდეგის პირობით: 1) რაც ძველი უსიამოვნება გქონდათ ჩემთან, როგორც მთავრის ქონების მმართველთან, დაივიწყოთ და თანხმობით იცხოვროთ ჩემთან; 2) ჩემთან თანხმობით იცხოვროთ და ძველი უსიამოვნება დაივიწყოთ; 3) პირველი მუხლი პირობისა აასრულოთ; 4) მეორე მუხლი არ დაარღვიოთ და, ბოლოს, 5) შეაკეთებინეთ სახლი, რომელსაც დასადგომად ამოირჩევთ. ამ მეხუთე მუხლის ასრულება, ჩემის აზრით, მხოლოდ ახლა მოგინდებათ, ამიტომ რომ საზრუნველოს არავითარი საშუალება აქვს ის შეაკეთოს: თქვენ, ბატონო ადგილობრივო პოლიცია, საკმაოდ გააოხრეთ იგი. მაგრამ მოგახსენეთ, რაც იყო, დავივიწყოთ-მეთქი.

„ასე ჩემო ბატონო, კორნელი ალექსანდრეს-ძე, მოუთმენლად გელით ამ პირობით.

„ჩემს თავს ნებას ვაძლევ თქვენს მეუღლეს, რომელსაც სულ დიდი ხანია, 1855 წელს, ბედნიერება მქონდა გავცნობოდი, თქვენის თანადასწრებით ხელზე ვეამბორო.

„თქვენი ერთგული და უმორჩილესი
მოსამსახურე დ. ყიფიანი”
26 ივნისი 1859 წ. გორდი

ამ ტკბილის კილოთი დაწერილმა წერილმა სრულებით დამამშვიდა, ეტყობა, ისევ კარგ განწყობილებაშია ჩემთან დ. ყიფიანი–მეთქი; არც მე მინდოდა მისთვის მეწყენინებინა რამე. მართალია საყვედურის კილოთი მეუბნებოდა: თქვენ, ბატონო ადგილობრივო პოლიცია, საკმაოდ გააოხრეთ მთავრის სასახლეო”-ო, მაგრამ ეს კი ლორთქიფანიძისა და სახლთუხუცესის ამბავია და როცა პირადად ვნახავ ყიფიანსა, ავუხსნი–ვინ მტყუანია და ვინ მართალი–მეთქი. მთავრის ქონების მზრუნველთა მოქმედებისათვის წინააღმდეგობის გაწევა ჩვენთვის საჭირო არ იყო, მაგრამ არც ის შეგვეძლო, მზრუნველთა მოთხოვნილებანი ყველაფერი შეუმოწმებლად შეგვესრულებინა; ჩვენ ამ მოურავებს ისე ვუყურებდით, როგორც სხვა მებატონეთა მოურავებს, ხოლო ამბოხებისა და უწესოების ასაცილებლად ჩვენ წესადა გვქონდა დადებული– დაწვრილებით გამოგვეძია ხოლმე მებატონეთა და გლეხებს შორის ატეხილი უთანხმოებანი და გაგვეგო, ვინ იყო მტყუანი და ვინ მართალი; ამნაირადვე ვიქცეოდით მთავრის მამულების შესახებაც. მაგრამ ამ მამულების მზრუნველთ ეს არა ჰნებავდათ და თხოულობდნენ მათი ნება და სურვილი უეჭველად ასრულებულიყო. აზრადა მქონდა, ყოველივე ეს ამეხსნა დ. ყიფიანისათვის, ჩემი ნათქვამი და აზრი ყოველივე დამესაბუთებინა და იმედიცა მქონდა, ყიფიანს დავაჯერებ-მეთქი. გორდში ჩემის სამმართველოთი და ოჯახობითა მკათათვის დამდეგს გადავედი.

ყიფიანი ჩემთან ერთად ერთ ეზოში სცხოვრობდა და მეტად ალერსიანად მეპყრობოდა; როცა საქმეებისაგან მოვიცლიდი, ხშირად ვნახულობდით ხოლმე ერთმანეთსა; ამ ხანებში ჩემი სიდედრი მეწვია და თან ჩემი ცოლის დაი მოიყვანა; ჩემი სიდედრი იმერლის ქალი იყო და დიმ. ყიფიანს ნათესავადა ხვდებოდა: დიდის ხნიდანვე იცნობდა ყიფიანს და დიდი მეგობრებიც იყვნენ ერთმანეთისა. მოვიდა ჩემთან აგრეთვე კამერონი, მას თან მოჰყვა ოსტენ-საკენი, რომელმაც კერძო კომპანიასთან სამსახურს თავი დაანება და ჩემს თანაშემწედ დადგა. არამც თუ უცივებოდ გადავრჩები ამ ზაფხულს, დროსაც მხიარულად გავატარებ მეთქი. მთავრის მამულების მოვლის შესახებ მზრუნველთან რამდენჯერმე მქონდა ლაპარაკი და იმან მითხრა, ამ მამულის მართვა-გამგეობისათვის ცალკე წესდება უნდა შევიმუშავო და როცა გავთავებ, თქვენც მოგიწევთ და ერთად წავიკითხოთო.

ასე გავიდა თითქმის თვე. ყიფიანი მუშაობდა, მასთან მოდიოდნენ მთავრის მოურავები სხვა-და-სხვა საქმეებისათვის. საღამოობით კი ერთად ვიკრიბებოდით და მხიარულად ვმუსაიფობდით. ერთ საღამოს დიმიტრი ყიფიანმა უთხრა, წესდების წერას მოივრჩი და ხვალ დილას 9 საათზე გთხოვთ მოხვიდეთო. მე რა თქმა უნდა, დანიშნულ დროისათვის ერთი წუთიც არ გადამიცილებია და კითხვა დავიწყეთ.

მზრუნველმა წაიკითხა მის მიერ შემუშავებული დებულება სასოფლო-სამეურნეო მართვა-გამგეობისა. შინაარსი ამ დებულებისა ის იყო, რომ მთავრის მამულში არსდებოდა ცალკე ადმინისტრაცია, და ეს ადმინისტრაცია განაგებდა თავის საქმეებსა. არსდებოდა აგრეთვე მთელი რიგი თანამდებობისა. მამასახლისი რომ რასმე დააშავებდა, გლეხს მოურავთან უნდა ეჩივლნა, მოურავზე – სახლთუხუცესთან უნდა ეჩივლა, სახლთუხუცესზე – მთავარ მოურავთან, ხოლო ამ უკანასკნელზე – მზრუნველთან. ამ დებულების თანახმად არსდებოდა მთელი ხროვა სოფლის მოხელეთა და მათ უნდა მიჰნიჭებოდა აღმასრულებელი უფლება. მოვისმინე ყოველივე. ვხედავდი, რომ დ. ყიფიანის შემუშავებული დებულება პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ჩვენ მიერ შემოღებულ წესს სამეგრელოს გლეხების საქმეების მართვის შესახებ. ყიფიანს ვუთხარი, ამ ახალი წესების შემოღება, ჩემის აზრით, იმას ემგვანება, რომ ახალი მმართველობა დავაარსოთ სამეგრელოშიმეთქი. ვუთხარი, რომ მთავრის მამულების საქმე ისევ ძველებურად დარჩება, ჩიქოვანები ძველებურად ისევ თარეშობას დაიწყებენ და ეს სრულიად საკმაო იქნება, რომ ამ ორი წლის წინად მომხდარი უწესობა გლხებისა ისევ განმეორდეს-მეთქი. ყიფიანმა ყიფიანმა ბოლომდე მოისმინა ჩემი ნათქვამი. ლაპაარკი რომ გაავთავე, წამოდგა, ერთბაშად ლაპარაკის კილო გამოიცვალა, ხელში მომცა წაკითხული ხელთნაწერი და მითხრა:

„გმადლობთ თქვენი შენიშვნებისათვის, რომლებიც გამოსთქვით ჩემ მიერ შედგენილ დებულების შესახებ, მაგრამ ამ თქვენ შენიშვნას ახლა არავითარი მნიშვნელობა აქვს. მე გადაწყვეტილი მაქვს ამ დებულების თანახმად იქმნას საქმე წარმოებული მთავრის მამულში და თქვენ გავალებთ მის ასრულებას. აქ ხვალვე მოვლენ სოფლელთა დეპუტატები, აარჩევენ სოფლის მამასახლისებს, მათი და მოურავების სია თქვენ ჩაგბარდებათ, ხოლო თქვენ სოფლელთ გამოუცხადებთ, ვინ და ვინ იქმნა არჩეული და რა უფლება აქვთ ამ არჩეულ პირთა.

„თქვენს წინაშე ახლა სდგას არა მარტო მზრუნველი მთავრის მამულებისა, არამედ კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრიცა და ეს წევრია, თქვენ რომ გიბრძანებთ”.

ყიფიანის ნათქვამი და მისის ლაპარაკის კილო ძალიან მეწყინა. ბატონს საბჭოს წევრს, ისიც გულ-მოსულს, რომ სიტყვა შევუბრუნო. მეტი იქნება-მეთქი, ვიფიქრე, გამოვართვი ხელნაწერი და მოვახსენე:

„მე ჩემი პირდაპირი უფროსიცა მყავს, უიმისდასტურად ნება არა მაქვს რამე გავეკეთო, ამიტომ დაუყონებლივ ყველაფერს მოვახსენებ ბ-ნს სამეგრელოს მმართველს და ასაც ის მიბრძანებს, ისე მოვიქცევი-მეთქი“.

ეს რომ ვუთხარი, თავი დავუკარი და გამოვედი.

ერთს საათს უკან კაცი ვაფრინე ზუგდიდში და თან ჩემი წერილი გავატანე.

კოლხეთი ხელმეორედ დაჭაობდა

სამელიორაციო სისტემების ექსპლოატაციისა და მშენებლობებისათვის თანხების მკვეთრად შემცირების გამო კატასტროფულ მდგომარეობაშია კოლხეთის ზონის ჰიდროგრაფიული ქსელი. ამ დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტების განცხადებით, ნალექებით, შამბნარებით, ხეებითა და ბუჩქნარებით გაივსო მაგისტრალური დედა-არხები, კოლექტორები, წყალშემკრები კვალთა შუა არხები, დახურული სადრენაჟო სისტემები; განადგურდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზები და სატუმბი სადგურები, რის გამოც ტიტანური შრომის შედეგად დაშრობილ კოლხეთის დაჭაობებულ ფართობზე ისევ ინტენსიურად მიმდინარეობს მეორადი დაჭაობების პროცესი და, შეიძლება, იგი მალე პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდეს.

შადრევნებისა და სასტუმრო-რესტორნების აშენებაში გართულ საქართველოს ხელისუფლებას ამ პრობლემის მოსაგვარებლად ჯერ კიდევ ვერ მოუცლია. როცა მოიცლიან, მერე ალბათ გვიანი იქნება და ანაკლიაში დასვენების მსურველი იქ ერთი დღეც კი ვერ გაჩერდება ქინაქინის საკმაო მარაგის გარეშე...

კოლხეთის რეგიონში მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ ზემოთ აღნიშნული პროცესები ხელს შეუწყობს მალარიის გადამტანი კოღოს კვლავ გაჩენასა და გავრცელებას. დაშრობილ მიწებზე მდინარეებზე წყალდიდობის საწინააღმდეგო ნაპირდამცავი ნაგებობების მხრივ სავალალო მდგომარეობაა. როგორც სპეციალისტები და ექსპერტები აცხადებენ, წყალდიდობის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური ნაპირდამცავი ამორტიზირებული ნაგებობები ვერ უძლებენ რეგიონისათვის ჩვეულ წყალდიდობებს; მეტიც, წყალდიდობა ანადგურებს საუკეთესო მიწის ნაკვეთებს, თხილნარებს, მრავალწლიან ნარგავებსა და ერთწლიან კულტურებს, გზებს, ხიდებს, ელექტროგადამცემ ხაზებს, შენობა-ნაგებობებს, პირუტყვისა და ფრინველის სადგომებს.

უკანასკნელ წლებში მომხდარმა წყალდიდობებმა უდიდესი ზარალი მიაყენა სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობას. სამწუხაროდ, ბევრ სოფელში არ არსებობს წყალდიდობის საწინააღმდეგო ნაგებობები, ადამიანები ბედის ანაბარად არიან მიტოვებულნი. წყალდიდობის საწინააღმდეგო ნაპირდამცავი ჰიდროტექნიკური ნაგებობების მხრივ მძიმე მდგომარეობაა შექმნილი მდინარე ენგურის ხეობაში, სოფლებში, როგორიცაა: ორსანტია, განმუხური, ტყაია, შამგონა, კოკი, ანაკლია; მდინარე ჯუმზე, სოფლებში, როგორიცაა დარჩელი, დიდინეძი, ცაიში, ურთა, კოლხიდა და ახალსოფელი; მდინარე ჭანისწყალზე, ნარაზენსა და ქვედა ჯიხასკარში; მდინარე ჩხოუშიაზე, სოფელ ზედაეწერსა და ოქტომბერში. მოსახლეობა ხედავს, რომ წყალდიდობისაგან ზარალი, ძირითადად, ენგურჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით მდინარე ენგურის ხეობაში დიდი რაოდენობით წყლის ხარჯების ინტენსიურად ჩამოდინების დროს ადგებათ. ამასთან დაკავშირებით, სპეციალისტები გვირჩევენ, რომ, როდესაც იწყება ისეთი გიგანტური ჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოები, როგორიც ენგურჰესია, აუცილებელია, ჯერ ენგურის ხეობა მომზადდეს წყალდიდობის მისაღებად და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს წყალსაცავის დაცლა და დაიწყოს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

როგორც ცნობილია, ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების გამო, არ მუშაობენ სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებსაც, ძირითადად, ინერტული მასალები ამოჰქონდათ მდინარე ენგურისა და სხვა მდინარეების კალაპოტებიდან. ამჟამად დაბა ჯვრიდან ანაკლიამდე მდინარე ენგურის ხეობაში დაგროვილია ჭარბი ინერტული მასალა, რომელსაც დაკავებული აქვს წყლის სავალი ნაწილი, რის გამოც მდინარის ფსკერი ზოგიერთ სოფელში უფრო მაღალია, ვიდრე მოსახლეობის საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და წყალდიდობისას წყალი დასახლებულ პუნქტებში ხვდება. სპეციალისტებსა და ექსპერტებს კოლხეთის დაბლობში პრობლემის ნაწილობრივ მაინც მოსაგვარებლად მიზანშეწონილად მიაჩნიათ, პირველ რიგში, მდინარეებზე წყალდიდობის საწინააღმდეგო ნაპირდამცავი ნაგებობების საიმედოდ მოწესრიგება, რადგან ამის გარეშე სხვა სახის სამუშაოების შესარულებას აზრი არა აქვს.

დროა, ყველამ ერთად, ვისაც გული შესტკივა კოლხეთზე, შემოვკრათ განგაშის ზარი. პრობლემა გლობალურია. ის არ მოიცდის, უყურადღებობას არ გვაპატიებს. ამიტომ, თუ ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად არ მივხედეთ კოლხეთს, იგი მეორედ დაჭაობდება.

ლადო ძირია, ზუგდიდი

რედაქციის კომენტარი – მართალია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ტუჩზე დუქმორეული ამტკიცებს, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ისტორია 2003 წლიდან იწყებაო, მაგრამ, არა მგონია, საქმე მთლად მასე იყოს. ეჭვი არ გვეპარება – ეს ფრაზა უფრო იმ სომეხ ვაი-მეცნიერთა გასახარადაა ნასროლი, რომლებიც ასევე ტუჩზე დუქმორეული ამტკიცებენ, რომ საქართველო, როგორც სახელწიფო არასოდეს ყოფილა და კავკასიაში ერთადერთი დიდი სახელმწიფო (მათივე სულელური მტკიცებით – **"От моря, до моря"**, ე.ი. შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმულიო...) მხოლოდ სომხეთი იყოო. მაგრამ ჩვენ არ სისულელეს ხელისუფალთა უმეცრებას და ქვეყნის ისტორიის არცოდნას ან მის დანაშაულებრივ უგულვებელყოფას მივაწერთ, რადგან მათ არამც თუ ქვეყნის შორეული წარსული, არამედ მისი ოთხმოცწლიანი ისტორიაც კი არ იციან, რადგან სწორედ მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე ერთიანად დაჭაობებული კოლხეთი მალარიის ბუდედ იყო ქცეული და სწორედ სტალინისა და ბერიას ძალისხმევამ გამოიღო ის შედეგი, რომ კოლხეთის ჭაობის დაშრობა და იქ სუბტროპიკული კულტურების ინდუსტრიის განვითარება საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად სტრატეგიად გადაიქცა. აქ მცხოვრები უძველესი კულტურის მქონე ხალხი განთავისუფლდა ისეთი მომაკვდინებელი დაავადებისაგან, როგორიც იყო მალარია და, მოძალებული მატერიალური კეთილდღეობით, საუკუნეთა განმავლობაში სიღატაკეში მცხოვრები ადამიანების სიცოცხლეს აზრი და სტიმული მიეცა. ყველაფერი ეს კი სულ რამდენიმე წელიწადში გაკეთდა. კოლხეთი სუბტროპიკული კულტურების და სოფლის მეურნეობის იშვიათი დარგების გაძღოლის მხარედ იქცა.

და არა მხოლოდ კოლხეთის დაბლობები იქნა მაშინ ათვისებული. მთელი ქართლის ზეგანის მოსახლეობას სულს ართმევდა მკაცრი კონტინენტალური ჰავა, რადგან გამუდმებული ქარი და ხორშაკი ფიტავდა და ლამის გამოუსადგარს ხდიდა აქაურ ნიადაგს. რამდენიმე უღელი ხარ-კამეჩი სჭირდებოდა გლეხს, რომ ხორბლის დასათესად ქვასავით გამკვრივებული მიწა ოდნავ მაინც მოეფხოჭნა. სწორედ მაშინ მიიღო საბჭოთა კავშირის პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელობამ ისტორიული დადგენილება აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში ქარსაფარი ზოლების მოწყობის თაობაზე, დაირგო რამდენიმე მილიონი ძირი ხე და სოფლის მეურეობის დაუძინებელ მტერს – ქარს, საიმედოდ გადაეკეტა გზა. სწორედ ამან გამოიწვია აღმოსავლეთ საქართველოში მეხორბლეობისა და მევენახეობის დარგების არნახული აღორძინება. მაგრამ მთელი ამ საქმის სიკეთემ მოგვიანებით იჩინა თავი, 1992 წელს, როცა საქართველოს ხელისუფლებაში იარაღის ძალით მოსულმა შევარდნაძემ, თავისი მზაკვრული გეგმების განსახორციელებლად, შეიძლება ითქვას, **"ჩოქბჯენში გადაიყვანა"** საქართველოს ეკონომიკა და პოლიტიკა. მოსახლეობისათვის აუტანელი პირობების შექმნა იყო დასავლეთის მასონური სამყაროს მიერ საქართველოსა და ქართველი ხალხის გასანადგურებელ მიზანთან მისვლის პირველი ეტაპი, რასაც **"წარმატებით"** ახორციელებდა შევარდნაძე. ლამის მთელი საქართველოს მოსახლეობა, ზამთრის აუტანელ სუსხში, შეშისა და სხვა ენერგომატარებლების გარეშე აღმოჩნდა. სწორედ მაშინ მოჭრა სიცივისაგან შეჭირვებულმა მოსახლეობამ ქარსაფარი ზოლები და სიცოცხლე გადაირჩინა.

ასეა, ხალხისადმი ზრუნვაზე მოიტივირებული ადამიანი საფლავიდანაც კი შესძლებს თავისი თანამემამულეების დახმარებას. ეს კი არ შედიოდა საქართველოს განადგურებაზე ორიენტირებული ვაი-პოლიტიკოსების გეგმაში და ამიტომაც მოითხოვენ ისინი სტალინის ძეგლის მოხსნა მის სამშობლო გორში და მისი სახელის სამუდამოდ დასამარებას.

მართლაც, პოლიტიკური უმადურობის კლასიკური მაგალითია...

85 წლის კლიმენტი შელია

ღვთის კაცი

იამაყებდა კოლხეთი,
იამაყებდა ლაზეთი,
ქართული მენტალიტეტის
შვილი რომ ჰყავხარ ასეთი.

შენი კაცური კაცობა,
ალბათ მამა-ღმერთს ეზმანა
და მერე საქართველოში
მოუგზავნიხარ დესპანად.

ციური შუქით მოსილა
შენი გონების ზინათი,
გული სავსე გაქვს სიკეთით,
სხივით, შუქით და სინათლით.

გულს მისცემ ძმას და მეგობარს,
სულს უწილადებ შენიანს.
მათუსალას ჟამს გისურვებ,
ჩემო კლიმენტი შელია!

სამშობლოს ჭირისუფალი

წარსულის შეცვლა თვით ღმერთსაც
არ შეუძლია არამცდა,
მავანთაგან კი ცვლილება
გარდასულს მაინც არ ასცდა,

თუმც მათი ავი ზრახვანი
დღეს გვიბნელებენ სიდამით,
ამხილე გარდასახვანი,
მტერს ჩამოხსენი ნიღაბი.

ღრმად მიდის შენი აზრები,
უფრო შორს – შენი მიზანი.
ჩვენი წარსულის მცოდნე ხარ,
ჩვენი მომავლის მიზანი.

შვიდგზისი გამოგიცვლია
თორმეტსინობა კარეტა,
შენი კალმით და გონებით
იბრძვი შინაც და გარეთაც.

ხარ უღალატო რაინდი,
სამშობლოს ჭირისუფალი.
სამტროდ აშლილებს არ ინდობ,
გფარავდეს მამა-უფალი.

მურთაზ ჯანჯღავა

რუსეთს კონფლიქტი არ სჭირდება

მოსკოვი ამერიკის შეერთებული შტატების უმცროსი პარტნიორის როლით დაინტერესებული არ არის და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგია – პუტინი და მედვედევი დათმობებით მოათვინიეროს, ფრიად სახიფათოა.

დიმიტრი მედვედევისა და ბარაკ ობამას იმ შეხვედრის შემდეგ, რომელსაც დაძაბულად ადევნებდნენ თვალყურს მთელ მსოფლიოში, იქმნება შთაბეჭდილება, რომ აშშ პრეზიდენტი ჩვენი კომპიუტერებივით გადატვირთეს: ეკრანი ჯერ ქრება, შემდეგ მასზე ძველი პროგრამები ჩნდება და ბოლოს მანქანა ძველებურად ჯახირ-ჯახირით იწყებს მუშაობას.

როგორც შეხვედრის მსვლელობისას გამოჩნდა, რუსული მხარე თავისი მკაცრი პოლიტიკის ერთგული რჩება. პრეზიდენტ მედვედევსა და პრემიერ პუტინზე დიდ შთაბეჭდილებას არ ახდენს ობამას ძალისხმევა – გააუმჯობესოს ორმხრივი ურთიერთობები. ამასთან, ორივე რუსი ლიდერი განუწყვეტლივ იმეორებს, რომ დათმობებზე სწორედ ვაშინგტონი უნდა წავიდეს, თავად ვაშინგტონი კი სწორედ ამის დემონსტრირებას ახდენს კიდეც.

ვაშინგტონის ამგვარი სტრატეგია სარისკოა, რადგან ამ დათმობების შემდეგ ობამა შესაძლოა, რუსეთის ახალ მოთხოვნებს გადაეყაროს. ობამას, უპირველესად, რუსეთთან ბუშისგან მემკვიდრეობით მიღებული ლატენტური კონფლიქტის განმუხტვა სურს, რათა შემდეგ მოსკოვთან მეტ-ნაკლებად ნორმალური ურთიერთობები დაამყაროს. ეს მისი საგარეო პოლიტიკის საკვანძო მომენტებზე – ავღანეთზე, ირანსა და ისრაელზე კონცენტრირებისთვისაა საჭირო.

რუსეთს კი სულაც არ სურს სუსტ პარტნიორად ქცევა. საბჭოთა კავშირის შვილობილ რუსეთს კი მუდამ საკუთარი ღირსების მერყევი შეგრძნება აწუხებს, რაც, უმჯობესია, უმაღლეს საერთაშორისო დონეზე მუდმივი ყოფნით და სუპერსახელმწიფოების მეთაურებთან შეხვედრებით გამყარდეს.

Financial Times Deutschland

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲔ

გთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს კლიმენტი შელიას წიგნიდან

იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე

ლევან სანიკიძე

ბანანური ენის მატარებელი ხალხი ისტორიული კატაკლიზმების და უკუღმართობის გამო **"იძულებული შეიქმნა სხვა ხალხისათვის დაეტოვებინა თავისი რამდენიმე ათასწლეულების ნაჯაფ-ნაამაგარი და გადასახლებულიყო დედამიწის სხვადასხვა მხარეში.**

როგორც ლეონარდ ულის მიერ მოპოვებული წარწერებით მტკიცდება, აქადელების მიერ ძველი წელთაღრიცხვის 2.316 წლიდან შუმერების დაპყრობის შემდეგ – ურის მეფეთა სასაფლაოს არსებობის პერიოდში ქალაქ-სახელმწიფოს ურის ერთადერთი ძირითადი მოსახლეობა იყო ბანანურ ენაზე მოლაპარაკე ხალხი." (ბადა (ნეგუსი) სოფია. ლაზ-მეგრელთა... გვ. 181).

მკვლევარი ნ. ფოფხაძე აღნიშნავს, რომ **"ქორთუების, ანუ ქართველების აღმნიშვნელი ცნება "კოლხიდან" მომდინარეობს,** და აგრძელებს: **ინტერნეტის საშუალებით მოპოვებული მასალის გამოყენების შედეგად "კოლხა" ქართული ლურსმული დამწერლობით მოღწეული წერილობითი წყაროებით, ჩვენი სახელმწიფოს უძველეს დედაქალაქად არის აღიარებული: როგორც ცნობილია, ის ჩვენი ქვეყნის მეფემ ანმარემ დააარსა. ანმარე მეფის ზეობის ხანა მისივე დროის საბუთებით ცნობილია ძველი წელთაღრიცხვის 3.185-3.120 წლები. მისი სურათი სამეფო გვირგვინით და კვერთხით გამოქვეყნებულია ინტერნეტით არაქართველთა მიერ"** (ნათელა ფოფხაძე. **"ქიანა ენგურ, ანუ სამენგურალლო..."** გაზ. **"დიოსკურია"**, 2004 წელი, №19). ის მეფეც იყო და უმაღლესი ქურუმიც.

მეფე ანმარე განაგებდა ანჟამინდელ საქართველოსა და მიმდებარე ტერიტორიებს: სამხრეთით – მეგრელთა ყურემდე (დღევანდელი სპარსელთა ყურე), დასავლეთით – ნილოსის ხეობის ჩათვლით (**"წითელ"** და **"შავ"** მიწებს), ტერიტორიებს მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ე.ი. – **"მთელი მსოფლიოს სანდო მეცნიერები ამტკიცებენ და აღიარებენ იმ ფაქტს, რომ ზღვებს შორის მოქცეული მიწა-წყალი კავკასიის, ნილოსის ხეობის, იბერიის ანუ ივერიის ნახევარკუნძულის (სადაც ამჟამად პორტუგალია, ესპანეთია) ტერიტორიების ჩათვლით, ქართველით ანუ ქართველებით და მათი მონათესავე მოსახლეობით არის უძველესი ხანიდან დასახლებული და ცივილიზაციის აკვნად სამართლიანად გამოცხადებული, აქ ჩაისახა და გაიფურჩქნა მიწათმოქმედების გამომგონებელი ერის – ქართველის ეროვნული კულტურა"** (ნათელა ფოფხაძე. **"ქართების ანუ ქართველთა აღმნიშვნელი ცნება "კოლხი" მომდინარეობის შესახებ. ქართი, ანუ საქართველო ერთიანი, ერთობლივი უნდა იყოს."** გაზ. **"თუთარჩელა"**, 2005 წელი, 8-10 აპრილი, გვ.4). **"ქიმეთი"** ნილოსის ხეობის უძველესი მოსახლეობის ენაზე **"შავმიწიან ქვეყანას"** ნიშნავდა – გეორგიას (გე-ორგია).

"ანმარეს თავზე ებურა ერთიანი სახელმწიფო გვირგვინი, რომელიც ტრადიციით მომდევნო ათასწლეულებშიც ამკობდა იქაურ მეფეებს. ეს გვირგვინი ებურა ჩვენი დიდი წინაპრის მეფე რატის ასულს თათუს, რომელსაც დედოფლის ტახტზე აღსაყდრებისას "ნეფერტიტი" დაარქვეს და მთელი მსოფლიო მას ამ სახელით იცნობს". – თათუ ბატონიშვილმა ღირსეული გზა განვლო ქიმეთის (შემდგომში ეგვიპტე) დედაქალაქამდე (ამაზე ქვემოთაც გვექნება საუბარი).

ნ. ფოფხაძე მიუთითებს, რომ საქართველოს მტრები ებრძვიან მეგრელებისა და სვანების ერთიანობას. მეგრელ-სვანები მეგრულ-სვანური ქართულით მეტყველებდნენ და მეტყველებენ. ისინი ხშირად წერდნენ სიტყვებს, რომელთა ნახევარი (ერთი სიტყვის ერთი ნაწილი) მეგრულია, მეორე ნაწილი – სვანური. მაგალითად, მეფე ანმარეს სახელი: **"ან"** – ზეცას ნიშნავს, **"მარე"** – კაცს (სვანურად). ანმარეს შემდგომი მეფე მარედიხაა. ამ სიტყვის პირველი ნაწილი სვანურ-ქართულით კაცს **("მარე")** ნიშნავს. მეორე ნაწილი **"დიხა"** მეგრული ქართულით მიწას ნიშნავს, ე.ი. მიწისაგან შექმნილი, მიწის მუშა. იმჟამად მეგრული და სვანურ-ქართული მეტყველება ერთმანეთისაგან არ იყო გამოყოფილი, გამიჯნული. მეგრელები და სვანები **"უძველესი ქართები არიან და მათგან მეგრელ-სვანმა ქართებმა გამოიგონეს მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქართული ენის რამდენიმე დამწერლობა სხვადასხვა დროს. მათ თავდაპირველად შექმნეს სურათებიანი ანუ ხატოვანი დამწერლობა, შემდეგ იეროგლიფური, შემდეგ ლურსმული, შემდგომში – რამდენიმე სხვა სახის ქართული ანბანური დამწერლობა,** – წერს ნათელა ფოფხაძე და აგრძელებს, – **ქართების, ანუ მეგრელ-სვანების კულტურულ სამყაროს მიღმა ჩაისახა და გაიფურჩქნა უცხოური – სხვაენოვანი და სხვაგვარი დამწერლობის მქონე ხალხების მდიდარი და მნიშვნელოვანი კულტურა"**.

მართებულია ნ. ფოფხაძის მტკიცება იმის შესახებ, რომ **"მეგრელების მეფემ – ანმარემ "კოლხა" დაარქვა თავის სახელმწიფოს დედაქალაქს თუ დავუშვებთ, რომ ჯერ ქვეყნის სახელი იქმნება, შემდეგ კი მისი დედაქალაქისა, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყნის სახელი "ენგურ" ან სამეგრელო მისი დედაქალაქის – კოლხას ცნებაზე უძველესია"**. დევიდ რობლის წიგნის და სხვა მრავალ მკვლევართა აზრით, როგორც ითქვა, ათასწლეულების შემდეგ კოლხა ქვეყნის დედაქალაქი იყო, მაგრამ გვიან სახელი გადაერქვა და **"ნიმროდი"** უწოდეს, ანმარეც გადაიქცა ნიმროდად და ქალაქ კოლხის დამაარსებლად – ეს გააკეთეს იუდეველებმა, უძველეს დროში თანხმოვან-ხმოვნების წერის დროს დაშვებული შეცდომის გამო. მაგრამ ის კი ცნობილია, რომ მეფე ანმარემ ღმერთამდე ასამაღლებლად დიდი ტაძარი ააგებინა (აგებდა) – ბაბილონის ტაძარი ანუ გოდოლი. ისიცაა აღსანიშნავი, რომ ღვთაება ნანასადმი მიძღვნილი ქართველთა დიდი ტაძრის მაკეტი ქალაქ ნიუ-იორკში უდიდესი **"კარნეგი"**-ს საკონცერტო დარბაზის სცენაზე დადგეს 2001 წლის საახალწლო კონცერტზე, რომელიც უშუალოდ იხილა ნათელა ფოფხაძემ. სწორედ, 1891 წლის 5 ივნისს, ნიუ-იორკში გაიხსნა ცნობილი საკონცერტო დარბაზი **"კარნეგი ჰოლი"**, ორკესტრს რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი დირიჟორობდა.

ათასწლეულების შემდეგაც ქალაქი კოლხა ქვეყნის დედაქალაქი იყო, მაგალითად, ნაბუ-ქალდე-ნეცარის მეფობის დროს (ამ მეფის სახელს უცხოელები მცდარად ნაბუქოდონოსარად მოიხსენიებენ). ამ მეფეზე, ხელისუფლების დაკვეთით, ჯუზეპე ვერდიმ ოპერა დაწერა, რომელსაც **"ნაბუქო"** უწოდა. ნაბუქო ხალდეს, ანუ იგივე ჩვენი ქვეყნის მეფე იყო.

საყურადღებო და საინტერესოა უკანასკნელ პერიოდში მრავალი მკვლევარის (მათ შორის პროფესორ თეიმურაზ მიბჩუანის, ნათელა ფოფხაძის და სხვ.) მიერ გამოქვეყნებული მოსაზრება, რომ **"ამჟამადაც" "ქართ"-ს უწოდებენ თავიანთ ენას, კუნძულსა და ქვეყანას კორსიკელები – ნაპოლეონ ბონაპარტეს მოდგმის ხალხი. ნაპოლეონი ქორთუ იყო და მის სამშობლოს მისი ხალხი დღესაც "ქორთუ"-ს უწოდებს (ინტერნეტის მონაცემებითაც); ჩვენ მას "ქორთუ" უნდა ვუწოდოთ და არა "კორსიკა". იქაურმა ქორთუებმა შეინარჩუნეს ჩვენი საერთო წინაპრებისეული მრავალხმიანი მუსიკა, კეთილშობილი ქცევა, სილამაზე"** (ნ. ფოფხაძე).

ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ ნაპოლეონ ბონაპარტემ კარგად იცოდა თავისი წარმომავლობა, თორემ თავისი დაცვის უფროსად არ დანიშნავდა ტყვედაყვანილ ოფიცერს როსტომ რაზმაძეს, რომელსაც ყოველმხრივ ენდობოდა და ახლოს ჰყავდა; იმასაც კი მიუთითებენ, რომ აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში მცხოვრებ მეგრულ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს ამჟამადაც შენარჩუნებული აქვთ ქართული ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები, როგორც კორსიკაში მცხოვრებთა ნაწილს ქართველური ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებანი და მეგრული კულინარია – მეგრული სამზარეულო.

აღნიშნავენ, რომ საქართველოს ანუ ქართუს მეფეები მზის შვილებად, ზეცის მიერ სრული ძალაუფლებით აღჭურვილ მმართველებად იყვნენ აღიარებულნი (ნ. ფოფხაძე). ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნის შუა წლებში ჩრდილოეთ საქართველოს სამეფოს მოთანის (ანუ მითანის მთიანეთის) მეფე იყო რატი, მთავარსარდალი კი მეფის ძმა – ართაშური. რატის ასული თათუ ქიმეთის (ეგვიპტის) მეფემ – ფარაონმა უნ-აჩინამ შეირთო ცოლად. ქვეყანა მითანის (მთიანეთის) სამეფოს დედაქალაქი იყო **"ფაზისყანა"** (რაც ვენახოვანს ნიშნავს). იმავე მნიშვნელობის იყო სახელწოდება **"ბაბილოვანი"**. ბაბილო ქართულად (ვაზის ლერწამი, რტო) ქალაქ ბაბილოვანის სახელწოდება შემდგომში გავრცელდა თვით ქვეყნის, სამეფოს სახელწოდებაზე. ბაბილო, ბაბილონი (ამ ქალაქის ბერძნულ და ებრაულ სახელწოდებაზე ქვემოთაც გვაქვს საუბარი) საქართველოს (სამეგრელოს) სხვა დედაქალაქის შესატყვის სახელწოდებად იქცა, მაგალითად, დედაქალაქ კოლხას სახელი დაერქვა ჯერ ვრცელ ქართულ კუთხეს – მხარეს, შემდგომში კი დიდ ქართულ სამეფოს კოლხეთს. ახალი წელთაღრიცხვის IX საუკუნეშიც, როცა ის შემოსულმა მტრებმა დაიპყრეს, ბაბილონი საქართველოს (კოლხეთის) ქალაქი იყო, ხოლო ახალი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში დაარსებულ ქალაქ ბაღდადს ხშირად ბაბილონად მოიხსენიებდნენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალაქის სახელი შეიქმნა ქართული სიტყვებისაგან **"ბაგ", "დადუ"** (მეფის სახელებია); აგრეთვე დადუსგან მომდინარეობს ქართული გვარები: დადუანი (იგივე დადვანი), დადიანი და სხვები.

მითანის მეფის რატის ასული თათუს ქიმეთის (ეგვიპტის) მეფის მეუღლედ გახდომისას, ჩვეულებისამებრ, მას ახალი სახელი დაარქვეს – **"ნეფერტიტი"**, რომელიც ავტორიტეტული მკვლევარების აზრით, უცხოეთიდან ჩამობრძანებულ მზეთუნახავს, ლამაზ ქალბატონს ნიშნავს! (ნათელა ფოფხაძე. **"ქიანა ენგურ, ანუ სამენგურალლო..."** გაზ. **"დიოსკურია"**, 2005 წელი, №20, გვერდი №4).

ქიმეთში (ეგვიპტეში) ექნათენ ფარაონის შემდეგ გამეფდა თათუ-ნეფერტიტი, რომელსაც თანამესაყდრედ ჰყავდა თავისი უფროსი ქალიშვილი ანქისეპა-ათენა; სამი თუ ოთხი წლის შემდეგ თათუ-ნეფერტიტი გარდაიცვალა. მისი მუმია შემონახულია – დაკრძალულია ქიმეთის მეფეთა და დედოფალთა პანთეონში. შემდეგ ტახტზე დასვეს 8-10 წლის თუთქანქი-ათენი, რომელიც ნათესავების, პირველ რიგში, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის და უმაღლესი ქურუმის – ქართველი (მეგრელი) აიეს საშუალებით მართავდა ქვეყანას. მან ათი წელი იმეფა (სახელი შეცვლილი ჰქონდა).

"ზოგი მეცნიერი "თუთანქამონის" ბიოლოგიურ დედად თათუ-ნეფერტიტს მიიჩნევს, ზოგი კი ფიქრობს, რომ ის სხვა ქართველთა მეფის ასულმა ქიაამ გააჩინა. ფაქტია, რომ თათუმ მას დედობა გაუწია, გაიზარდა და მისი დედა თუ არა, ახლო ნათესავი ნამდვილად იყო. თუთანქამონს დედის ბიძად ერგებოდა პრემიერ-მინისტრი აიე, რომელმაც ახალგაზრდა ფარაონის დაკრძალვას უხელმძღვანელა, მომდევნო ფარაონი გახდა და ათი წელი მშვიდობიანად მართავდა ქვეყანას. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ "ფარაონ აიეს ძმის – მეფე რატის ქალიშვილს – თათუ-ნეფერტიტის ასული (უმცროსი ქალიშვილი) მენი-ათენა, საქართველოს დედოფალი, ქადაშან მეფის მეუღლე იყო, ცხოვრობდა ამჟამინდელ სამხრეთ ერაყში".

ცნობილია, რომ მეფე აიეტის ასულმა მედეამ, მამის კუთვნილი ტერიტორიის ერთ ნაწილში კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე – სადაც ათასწლეულის შემდეგ შეიქმნა ირანი და არც ისე მრავალი საუკუნის წინ, აზერბაიჯანის სახელმწიფოები – დაარსდა სამეფო, რომელსაც მის საპატივცემლოდ მედეთი-მედია ეწოდა. ლათინურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე ეს სამეფო, ჩვენი წელთაღრიცხვით V–VI საუკუნეების მიმოხილვაშიც **"მედეა"**-დ იწოდება. შემდეგში, რატომღაც, ქართულ მიმოხილვებშიც, ეტყობა რუსული ენის გავლენით, **"მედიას" "მიდიას"** უწოდებენ. ძველი მიმომხილველები, კერძოდ, ძველი წელთაღრიცხვით V–IV საუკუნეების (მათ შორის ჰეროდოტე და სხვები) კასპიის ზღვის ნავთობით მდიდარ მხარეს მედეას-მეფექალის კუთვნილებას უწოდებდნენ. ინგლისურენოვანი გამოკვლევები მიუთითებენ, რომ ნავთობის ძველთაძველი სახელია **"მედეა-ზოილი"** მედეას კუთვნილი ნავთობი.

ამ მხარეს ძველთაგანვე ერქვა **"არია"**, მოსახლეობა **"არიელები". "არ"** მიწათმოქმედების მიმდევარ ხალხზე მიგვანიშნებს. აქვე, კასპიის ზღვასთან ახლოს მდებარეობს ქალაქი მახაჩქალა, **"ხაჩქვა"** კოლხურად თოხნას ნიშნავს, **"მახაჩქალი"**, ე.ი. მიწის დამმუშავებელი, მთოხნელი.

მედეამ თავის შემდეგ, უფროსი ვაჟიშვილი მედე გაამეფა, რომელსაც ადრე ასწავლა სახელმწიფო მმართველობა.

სასიამოვნი სანახავია ახალგაზრდა მეფე ქალის გამომწვარ თიხაზე შესრულებული ნახატი, რომელიც, სპეციალისტების აზრით, ძალიან ძველი უნდა იყოს. მეფე ქალს, სამეფო გვირგვინის გარდა, სხვა სამკაული არ აქვს: მარჯვენა ხელში, დიდი შინაარსის მომცველი, ჯვრის (ჯვარის) მწიფე მტევნებით სავსე ვაზის ჯვრის ტოტი, რტო უპყრია (ნუთუ აქედან მომდინარეობს ჯვარის გამოსახულება!). ეს არის სიცოცხლისადმი, ბუნებისადმი მოწიწებით დამოკიდებულების ნიმუში – მეფე მირიანი და საქართველოს განმანათლებელი წმინდა ნინო ასე ექცეოდნენ ვაზს. მეფე ქალი მედეას კაბაზე ამოქარგულია მამულისადმი დიდი სიყვარულის გამომხატველი სიტყვა **"აია"**, რომელიც ალბათ პატრონმა ამოქარგა. მართალია, მედეას სამართავი ქვეყანა იყო მედეა-მედითი, რომელიც მისი დიდი სამშობლოს **"აიიას"** შემადგენელი ნაწილი იყო. ალბათ, სხვა ხელოვანის მიერაა შესრულებული ეს ნატიფი, მცირე ზომის ქანდაკებაც – მეფე ქალ აიას, კოლხეთის დედოფალს, მკურნალ ქალბატონს თავზე მეფის გვირგვინი ადგას. (**ნათელა ფოფხაძე**. კოლხი მედეა ვაზის რტოს კვერთხით,– გაზეთი **"დიოსკურია"**, 2007 წლის აპრილი, №40, გვერდი 8).

მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბები "აინტრახტი", ფრანკფურტი, გერმანია.

დაარსებულია **1899 წელს,**

სტადიონი "ვალშტადიონი", 62.000 მაყურებელი,

გერმანიის ჩემპიონი გახდა ერთხელ,

გერმანიის თასის ოთხგზის მფლობელი,

უეფას თასის მფლობელი 1980 წელს.

გერმანიის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქის ფრანკფურტის **"აინტრახტი"** ის სპორტული კოლექტივია, რომლის სახელიც დღემდე ლეგენდად შემორჩა ევროპულ ფეხბურთს. იგი ცნობილია, როგორც გუნდი, რომელმაც ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალი **"ჰემპდენის"** სტადიონზე მადრიდის **"რეალთან"** წააგო ანგარიშით 7:3, თუმცა, ამ წარუმატებლობამ გუნდი წელში მაინც ვერ გატეხა. თანაც, ამ მატჩამდე გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი მაღალი კლასის ფეხბურთს თამაშობდა, როცა ნახევარფინალში ექვსი გოლი გაუტანა ორი მატჩის ჯამში ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს გლაზგოს **"რეინჯერსს"**. თანაც, ეს მოხდა მაშინ, როცა შოტლანდიელი ფეხბურთელები საუკეთესო სპორტულ ფორმაში იმყოფებოდნენ.

ესპანელებთან განცდილი მარცხი მეტად მძიმე იყო წარმატების გზაზე მდგარი გუნდისათვის, მაგრამ ფრანკფურტელებმა მაინც მოახერხეს ამ სტრესის მოხსნა და შემდგომ დამაჯერებელ გამარჯვებებსაც მიაღწიეს.

ფრანკფურტის **"აინტრახტი"** თამაშს ძირითადად აგებდა დაუღლელ და სწრაფი გადაწყვეტილების უნარის მქონე ნახევარმცველებზე **დიტერ სტინკსა და იურგენ ლინდნერზე,** რომლებსაც საიმედოდ ჰქონდათ ბლოკირებული შუა მოედანი და მუდამ აკონტროლებდნენ აქ მიმდინარე პროცესებს. ისინი სახიფათო პასებით ამარაგებდნენ სისტემატურად გუნდის ვეტერანს, მარცხენა ფლანგზე მოთამაშე ნიჭიერ ფეხბურთელს, ფეხბურთისადმი შემოქმედებითი მიდგომით გამორჩეულ **ალფრედ პფაფს** და ასევე ნიჭიერ მარჯვენა ფლანგის თავდამსხმელს **რიჰარდ კრესს**.

დიდი მტკიცება არ სჭირდება იმ გარემოებას, რომ ესპანელებთან გამანადგურებელმა წაგებამ, გარკვეული დროის განმავლობაში, უარყოფითი გავლენა იქონია გუნდის მომავალ შედეგებზე. მიუხედავად იმისა, რომ ფრანკფურტის **"აინტრახტი"** ერთ-ერთი ის გუნდი გახლდათ, რომელიც მოხვდა გერმანიის ბუნდესლიგის დამფუძნებელთა შორის, მისი სპორტული წარმატებები, იმ დროისათვის, საკმაოდ მოკრძალებული იყო.

ფრანკფურტის **"აინტრახტის"** უმაღლესი მიღწევის მწვერვალად ითვლება 1980 წლის საფეხბურთო სეზონში **უეფას** თასის მოპოვება, როცა დაძაბულ ბრძოლაში გერმანელებმა, ორი მატჩის ჯამში, დაამარცხეს მეორე უძლიერესი გერმანული გუნდი მიუნხენგლადბახის **"ბორუსია".** პირველი მატჩი მოწინააღმდეგის მოედანზე **"აინტრახტმა"** წააგო ანგარიშით 2:3, განმეორებითი მატჩი საკუთარ მოედანზე კი 1:0 მოიგეს, რამაც ისინი უეფას თასის მფლობელებად აქცია.

არც თუ იშვიათად, დიდი წარმატების შემდეგ ამა თუ იმ საფეხბურთო გუნდს უდგება ხოლმე დიდი წარუმატებლობის ხანა, რასაც, სამწუხაროდ, თავი ვერც ფრანკფურტის **"აინტრახტმა"** დააღწია.

1980-იანი წლების შუა პერიოდში გუნდში გარკვეულმა სიძნელეებმა იჩინეს თავი, რაც ძირითადად განაპირობა ფრანკფურტის **"აინტრახტის"** ხელმძღვანელობაში გაჩენილმა მწვავე დაპირისპირებამ და განხეთქილებამ, რასაც ფინანსური პრობლემებიც დაერთო. სიტუაცია მკვეთრად გაუმჯობესდა მხოლოდ მაშინ, რაც გუნდის მართვის სადავეები ჩაიბარა ცნობილმა ბიზნესმენმა მატიას ომსმა. პირველი, რაც მან გააკეთა, იყო ის, რომ გუნდის აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტად დანიშნა ბერნდ ჰელცენბაინი. იგი ყოფილი ფეხბურთელი გახლდათ, გერმანიის ნაკრებში თამაშობდა 1974 წელს, როცა გუნდი მსოფლიო ჩემპიონი გახდა და ამ გამარჯვებაში მან საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა.

სწორედ ჰელცენბაინმა მოახერხა, რომ აღედგინა გუნდის საკმაოდ შერყეული ფინანსური მდგომარეობა, რის შემდეგაც **"აინტრახტმა"** საკმაოდ ძვირ ფასად შეიძინა ისეთი ძლიერი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ ანდი მიულერი (რომელიც ადრე ტურინის **"იუვენტუსს"** ჰყავდა ნაყიდი) და შესანიშნავი განელი გოლეადორი ენტონი იებოა. სწორედ **"ახალი სისხლის"** გადასხმით იწყება ფრანკფურტელთა აღმასვლა – 1992-1993 წლების საფეხბურთო სეზონში, დამაჯერებელი გამარჯვებების წყალობით, **"აინტრახტი"** თანდათან აგროვებდა ქულებს და წინ მიიწევდა გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატში, მაგრამ ეს აღმატებული წინსვლა დამუხრუჭდა მაშინ, როცა, მოულოდნელად, შუა საფეხბურთო სეზონში, გუნდიდან იძულებით წავიდა შესანიშნავი მწვრთნელი, დიდი პედაგოგიური მონაცემების მქონე ფეხბურთის სპეციალისტი, იუგოსლაველი დრაგოსლავ სტეპანოვიჩი. იგი შეცვალა არანაკლებ ძლიერმა მწვრთნელმა იუპ ჰაინკესმა, მაგრამ მანაც მალე დასტოვა **"აინტრახტი"** გუნდის ხელმძღვანელობასთან წარმოქმნილი თითქმის უაზრო კონფლიქტის გამო. მაგრამ იგი გერმანიიდან ხელცარიელი არ წასულა და თან **"გაიყოლა"** განელი გოლეადორი ენტონი იებოა, რომელსაც ინგლისის **"ლიდსში"** გადასვლის ნება დართეს და ორივენი ამ გუნდში დამკვიდრდნენ. სწორედ გაუთავებელი კონფლიქტებისა და ამგვარი საფეხბურთო **"კატაკლიზმის"** შედეგი გახლდათ ის, რომ ფრანკფურტის **"აინტრახტმა"**, პირველად მისი არსებობის განმავლობაში, გერმანიის უმაღლესი საფეხბურთო ლიგა დასტოვა და დაბალ საფეხურზე გადაინაცვლა.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

რაჭველი სტადიონზე წავიდა ფეხბურთის მატჩზე დასასწრებად. დაიწყო თამაში. ხუთი წუთის შემდეგ რაჭველმა ჩაილაპარაკა:

– ეგი ხომ ნანახი მაქვს, ბოშო, რავა ტყუილად გადავყარე ბილეთში ფული...

უკმაყოფილომ მიატოვა მატჩი და შინ წავიდა.

*** * ***

– საით მიხვალ, კუკურია? – ეკითხება ქუთაისელი შემხვედრ მეგობარს.

– ნემსი უნდა გევიკეთო, ვენაში!

– ბიჯო, მთელი ქუთაისი საღორიას ტყეში იკეთებს ნემსს და შენ ამ სიშორეზე რატომ მიდიხარ?

*** * ***

მსუქანი ცოლი მეტად კარგია და სასარგებლო – ზამთარში გაგათბობს, ზაფხულში კი მოგიჩრდილავს...

*** * ***

– საინტერესოა, სად მიგყავართ საკაცით? – კითხულობს გონზე მოსული მამაკაცი.

მორგში! – უპასუხებენ ექიმები.

– მერე, ჯერ ხომ არ მომკვდარვარ?

– მერე, ჯერ ხომ არ მივსულვართ?!

*** * ***

რესტორანში შესული მამაკაცი შეკვეთას აძლევს ქალ-ოფიციანტს:

– მომიტანეთ გადამლაშებული, დანახშირებული შემწვარი კვერცხი, ბლანტი ცივი ყავა, დამიდგით გვერდით და ტვინის ბურღვა დამიწყეთ – ნოსტალგია მაქვს ცოლზე...

სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას **„ეფრემ ვერდის"** წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ:

– **წვერი გაიპარსო** – ზიანის და ნაღველის ნიშანია;
– **წვერი თუ გაგეზარდოს** – შნოება და სახელი მოგემატოს;
– **წყაროს ნახვა** – კარგია, **თუ დამშრალია** – ცუდია;
– **წვიმის ხმა გესმოდეს** – ჩხუბი მოგივა ვინმესთან;
– **წისქვილი** – ბედნიერების ნიშანია;
– **წირვის ხმა გესმოდეს** – ჩხუბი მოგივა ვინმესთან;
– **წყალი წმინდა თუ დალიე** – კეთილია;
– **წისქვილის აშენება** – დიდებისა და ბედნიერების ნიშანია;
– **წისქვილში მისვლა** – ცუდია, გაჭირვებაში ჩავარდები;
– **წიწილა** – რაიმეს შეიმატებ, გამდიდრდები;
– **ჭარხლის დათესვა** – კარგია, **ჭამა** – ცუდია;
– **ჭაობიანი ადგილი** – ავადმყოფობის ნიშანია.



წიგნის მაღაზიებში იყიდება პროფესორ კლიმენტი შელიას მეტად საინტერესო წიგნი **კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე.**

ახლახან კი წიგნის მაღაზიის დახლებზე გამოჩნდა კლიმენტი შელიას ახალი, არანაკლებ საინტერესო წიგნი **კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება,** რომელშიც აღწერილია პრეისტორიული ხანის კოლხეთის მრავალმხრივი ფენომენი.



დაინტერესებულმა პირებმა სასწრაფოდ მიმართონ წიგნის მაღაზიებს, რადგან აღნიშნული ნაწარმოებები ბესტსელერია და მალე გაქრება წიგნების ბაზრიდან.

გაზეთი **"საქართველო და მსოფლიო"**
ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში!
მისი ძირითადი კრედო – შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!
მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა...
იდიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისადმი!
ეს გაზეთი მხოლოდ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი – არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვეხმაურებიან!
შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი
"საქართველო და მსოფლიო"!

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე	რედაქციის მისამართია: თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1 სარეგ.№01018002930	მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია	anaklia@web.de e-mail:elisabetthal@yahoo.de **რეკლამის განთავსება** 899-57-33-22 893-51-01-71 899-34-37-27